


საქართველოს მთელი და ცენტრული ქაბელი - გარე ცენტრული კულტურა

სამარხოლი

№6 (53) 1.06.2016 - 1.07.2016

ფასი 2 ლარი


ყოველთვიური გამოცემა



ლეილ
ბესალია
კართულ
ზავეაგზა
აღზრდილი
ლიმილის გიზი



სარგი
მაკალათია
სამეცნიერო
შესახვე



ცერვნაზის
მზე



რიზო
ახალია
ციფრული ზოგი
ასტაველის თავაზე



„ვაშინეს,
გაცონებო,
საჭართველოს
ლამა“
ნოლან ჯილიანი



გიგა
რიცოზოგის
გრამისადა
მიმრჩი



გივი
ცისარეალის
22-ე წლიდის
საპარო
გაცემა
გათავაზი



აფანასევნების გამარტინი



გულიკო ბერი- ჩიქვილაშვილა

გილონი თუმა ღამიადა
და განიათებული ჩაზურნა მზე
მემორიალის, მზე მისებრ ლამაზი,
თავარები გნე-ჩუკულიშვილი და
გარეგნული იურ-ხანის, მზე მისიუ
მანუსა მოსმული, მუძთამიურდული და

ნაციონალური დალმაციონის გულიკო მერია-ჩიქვილაშვილა.

სამწერლაშვილი და მნიულა ღამიაჯურული ესახებ ღიღი სილამაზი მიწის
სათავით იყოს ღამიარებული, მაგრამ არა უკიდის, იცყვანა „საჭმე“ გადა
ჩიქვილუ მუკრსათ“...

დალმაციონი გულიკო მერიან მაქანიანის სიცუკუმის არ იყოს, იყო
დალი ღიღა, დალი საღამო, დალი წვიმა, დალი სიცოცხლის ღამიაული
წყარო, მერიული საჩუქრი, კლიენტის მიწაზი ღამიარებული ღიღალი
სისოძი, ყულმორებული სიკულერით არ გადარდა სამყაროს და თავის
ჯუას, თავის ღიღი მუკრცულმეგა.

გულიკო მერია-ჩიქვილაშვილი დამიადა 1945 წლის 25 ნოემბერს, დალაჭ
სიცოცხლი, ინცილიგურულის თავასმი. ცელლი ღამიაურული მერიის სტაცია
განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი შეგიძინის ეპიდემიალური
პროცესთალოგიის სპეციალის. ასეული ღამიაურული გადა სამედიცინო
კასმიცოლოგიის სტული უკარი. წლიული მანძილი მერიამდე სულისნ-ხემის
სახელმისი მედიკოგიურ ინციდენტები და საღართვულის სულთუნების მერავთ
სახლში შეგიძინის მედიკოგიურ. პროცესილაციის და პლაზმინითი თურიპის
ცენტრში ექიმ-ეპიდემიალურგი. სიცოცხლის მოლოდ წლიული კასმიცოლის და
მასაქის მემხრაზული უკარულის სულმუნები იყო.

პედაჯის მუკრსა მერე-მისებრ ჩიქვილაშვილ, თან მუკლი და სუთა მუკლიმული.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.....2
	ნინო რეხვიაშვილი
	„მკურნალ ფოთლად“ მოვლენილი ჭყონდიდელი „სკუა“ დავით ინჯია.....4
	ვერიკო ჯიბლაძე
	აბაშელი ღიმილის ბიჭი ლადო ბესელია.....8
	ვერიკო ჯიბლაძე ჩვენი დროის მინდია
	12
	მურმან კვარაცხელია
	„ვაშინერს, ბატონებო, საქართველოს დაშლა!“ ნოდარ ჭითანავა
	14
	ნინო რეხვიაშვილი
	სიტყვის ზეიმი რუსთაველის თეატრში
	17
	ნინო რეხვიაშვილი
	გივი სიხარულიძის 22-ე წიგნის საჯარო განხილვა ბათუმის ოპერის სცენაზე
	18
	ნათელა კაპანაძე
	რწმენა-წარმოდგენები სამეცნიეროში.....21

	ამრიტა ჯანაშია
	კაკა უვანიას თარგმანი პირველად კონსტანტინე გამსახურდიამ წაიკითხა
	24
	სერგი მაკალათია
	ისტორიულ-გეოგრაფიული ფრაგ- მენტები სამეგრელოში
	26
	შოთა ნიშნიანიძე
	დიოსკურია
	29
	გიორგი სიჭინავა
	რინა მოკო პელაზგური
	29
	რანანა ფიცხელაური
	გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულ კანჯი-ოღლის 17 ქართველი ჰეყავს მოკლული?!
	30
	მათიკო თოდუა
	დავით ალმაშენებელი
	32
	დიდგორის ბრძოლა
	32
	აკაკი განწერელიას პირადი ჩანაწერები
	33
	მეგრული დიალექტი
	34
	ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს
	36
	ნინო ჭინჭარაული
	აკვნის მივიწყებული კულტურა საქართველოში
	38

მთავარი რედაქტორი —

ნინო რეხვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გორა გუთაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარშვაიშვილი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგიძეამ

კორექტორი

ჩათევან ნახევარია

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,

მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**უნიკალუ მასალების
გათიავსება ფასინია!**

წმინდა ნინო საქართველოში შემოსული



„მოღილე, ნინო მთებით მოღილე
და მოპირნი სანაცრები კატის ჯვარი...“
ანა კალანჩიძე

მან მიაღწია დიდ ტბას, ფარავანს (ჭელიშ. „ფარავნაა“; /შინ50 „ფანავრაა“), სადაც ორი დღე შეჩერდა. იქ მან მეთევზეთაგან ითხოვა თევზი საკვებად და ფიზიკურად მოძლიერდა. იქვე ნახა მან მწყემსები, რომლებიც არმაზს და ზადენს ლოცულობდნენ და მათ შესანირავს უთქვამდნენ. დილაადრიან მისულმა ერთ მწყემსთვანს სადაურობა გამოჰკითხა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ზოგი მათგანი დაბა „ელირგნით“ (/შინ50; მფ. ცხ. „ელარბინით“) იყო, ზოგი – საფურცლით და ქინჯარელნი (მფ. ცხ. „ქინძარელნი“) და ზოგიც – „რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. წმ. ნინოს სიტყვებით, მან გახდა ჩრდილოეთის, ანუ ქართლის მთებს, რომლებიც ზაფხულის თვის მიუხედავად სავსე იყო სასტიკი ჰავით და თოვლით და შეძრნუნებულმა ნარმოთქვა: „უფალო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან“.

იმ ღამეს, წმ. ნინოს ტბის პირას ძილში გამოეცხადა უცნობი მამაკაცი, რომელმაც მას გადასცა დალუქული წერილი და უთხრა, რომ წასულიყო მცხეთაში და ეს წიგნი წარმართთა მეფისთვის მიერთმია. მაშინ ნინომ დაიწყო ტირილი და ვედრება, რომ უცხო ქალს, ენის არმცოდნეს, რა უნდა ეთქვაუცხოხალხისთვის? რაზედაც მამაკაცმა გახსნა დალუქული წიგნი და წააკითხა ქალწულს. წერილში ენერა ათი სიტყვა, ძირითადად, ციტატები სახარებიდან, რომლებიც ქალთა მოციქულებრივ უფლებებს უსვამდნენ ხაზს. მაშინდა მიხვდა ნინო, რომ ეს ჩვენება ზეციდან იყო, ითხოვა შეწვნა უფლისგან, გაჰყვა ტბიდან გარდმომდინარე მდინარეს (იგულისხმება მდინარე ფარავანი, იგივე ახალქალაქისწყალი, იგივე, ჯავახეთის მტკვარი) და გაემართა მცხეთისკენ.

სანამ მდინარე დასავლეთისკენ მიემართებოდა, გზა იყო ძნელად საგალი და ფიცხელი და წმ. ნინომ ნახა დიდი გაჭირვება და შიში მხეცებისგან. როდესაც მდინარემ (აქ უკვე იგულისხმება მდ. მტკვარი) აღმოსავლეთისკენ იწყო დინება, მაშინ იგრძნო წმინდანმა შვება, იპოვა თანამგზავრები და მიაღწია ქალაქ ურბისს.

ურბისში ნინომ ნახა „უცხო ხალხი, უცხო

ღმერთების მსახური”, რომლებიც ცეცხლს, ქვებსა და ხეებს სცემდნენ თაყვანს. მივიდა იგი იუდეველთა სალოცავში („ჰურიათა ბაგინი”), ებრაული ენის გამო და იქ დაპყო ერთი თვე და ეცნობოდა ამ ქვეყნის წეს-ჩვეულებებს.

ერთი თვის შემდეგ იგი მცხეთისკენ გამოჰყვა ხალხს, რომელიც იქ სავაჭროდ და მათი ომერთის, არმაზის მოსალოცად მიდიოდა. იმ დღეს მცხეთაში მოსულები გაჩერდნენ მოგვთა უბნის გამოლმა, ხილთან და იქიდან აკვირდებოდა წმ. ნინო მცხეთელ ცეცხლისმსახურებს.

მცხეთაში მოსვლიდან მეორე დღეს ხალხი არმაზის დღესასწაულს ზეიმობდა. ეს იყო 6 აგვისტოს („რამეთუ დღე იყო მმექუსეა თთვსა მის, ოდეს-იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი აჩურენა თავთა მათ ცხოველთა და თავთა მათ მიცვალებულთა”, ანუ ფერისცვალების დღეს). ქალაქში ისმოდა სადღესასწაულო საყვირის ხმა და ურიცხვი ხალხი გამოფენილიყო ქუჩებში. უცხად ხალხმა აქეთ-იქით იწყო მიმოფანტვა და მიმალვა და გამოჩნდა ნანა დედოფალი, რომელმაც ნელა ჩაირა ქუჩა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა ხალხი სამალავებიდან და ქუჩა სამოსლებითა და მცენარებით მოფინეს. ხალხმა დაიწყო მეფის ქება-დიდების შესხმა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა მეფე მირიანი თვალისმომჭრელი შესახედაობით. წმ. ნინო გაემართა არმაზის კერპის სანახავად. გარშემო მთები სავსე იყო ხალხითა და დღოშებით. ნინომ მოასწრო არმაზციხეში შესვლა და დადგა ზღუდის ნაპარალთან და იქიდან უცქერდა თუ როგორი შიში და ძრნოლა ჰქონდა მეფეს და მთელ ხალხს იმ კერპისა. არმაზის კერპი სპილენძისგან იყო შექმნილი, მას ტანზე ოქროსჯაჭვისპერანგი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფეხუტი ეხურა და ფრცხილის და ბივრიტის თვლებით შემული ოქროსავე სამხრეები ეკეთა. კერპს ხელთ ეკავა გალესილი ხმალი, რომელიც მის ხელში ისე ბრნყინავდა და ტრიალებდა, რომ თუ ვინმე შეეხებოდა თავი სასიკვდილოდ ჰქონდა განწირული. არმაზის კერპის მარჯვნივ იდგა ოქროს კერპი, რომლის სახელიც იყო გაცი, ხოლო მარცხნივ – ვერცხლის კერპი, სახელად გა. ეს ორი კერპი არიან-ქართლიდან იყო მოტანილიაზოს მიერ, ჯერ კიდევ აღექსანდრე მაკედონელის დროს.

ამ კერპმსახურების შემყურე წმინდა ნინო ლოცულობდა და ევედრებოდა ომერთს, რათა მას ეჩვენებინა სასწაული ამ ხალხისათვის და ეხსნა ისინი კერპმსახურების სიბნელისგან. და თითქოს თვალისდახამხამებაში დასავლეთიდან ამოვარდა ქარი, რომელმაც სიმწრისა და სიმყრალის სუნი

მოიტანა და გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, ცაზე საშინელების მომასწავებელი სწრაფი ღრუბლები გაჩნდნენ. მაშინ ხალხმა იწყო გაქცევა იმ ადგილიდან და მათ დრო მიეცათ, რომ თავშესაფრამდე მიეღწიათ. მოახლოებულმა ღრუბელმა მოიტანა უმსხვილესი სეტყვა მხოლოდ იმ ადგილას, სადაც კერპები იყვნენ აღმართული. სეტყვამ ისანი დალენა, დაფქვა და დაანაწევრა, ხოლო მათი ნამსხვრევები ქარმა კლდე-ღრეში ჩაყარა.

როგორც კი დაცხრა ქარი და სეტყვა, წმ. ნინო გამოვიდა კლდის ნაპრალიდან და იპოვა ბივრიტის თვალი, რომელიც არმაზის კერპის სამხრეებს ამკობდა. მან აიღო ეს თვალი და გაემართა იმ კლდის ბოლოს, იქ სადაც ძველად ციხე მდგარა. იქვე იდგა მშვენიერი ბრინჯის ხე, მაღალი და რტომრავალი. წმინდანი მივიდა იმ ხის ქვეშ, გამოსახა იქ ჯვრის ნიშანი და ექვსი დღის განმავლობაში ლოცულობდა იმ ადგილას.

მცხეთაში, სამეფო ბალის მცველის სახლში 9 თვიანი ცხოვრების შემდეგ წმ. ნინო გავიდა ქალაქის ზღუდის გარეთ და დაბინავდა ერთ მაყვლის ეკალ-ბარდით შებურულ ადგილას. იქ შექმნა მან ვაზის ნასხლევისაგან ჯვრის გამოსახულება და ფარულად ლოცულობდა სამი წელი და ახდენდა მრავალ კურნებას (დღეს სწორედ იმ მაყვლოვანის ადგილას არის ზემო ეკლესიის, ანუ სამთავროს საკურთხეველი). ამ ხნის განმავლობაში, სასწაულებრივი კურნების ძალის წყალობით, წმინდანმა დაიმოწაფა შვიდი ქალი, რომელთა შორის იყო სიდონიაც, აბიათარ მღვდლის ასული.

ამასობაში, წმინდა ქალწულმა მრავალჯერ სცადა სიდონიას მეშვეობით გამოეკითხა მამა-მისისთვის ქრისტეს კვართის მდებარეობის ზუსტი ადგილი, რაზედაც აბიათარი ბუნდოვან პასუხს სცემდა: იქ არის იმ სამოსლის ადგილი, სადაც ხალხთა ენა არ დადუმდება ლმერთის მიმართ გალობაში და ის ადგილი არის, როგორც იაკობის ადგილი, სადაც მას კიბე ესიზმრა ზეცამდე აღნეული. მხოლოდ ის განმარტა აბიათარმა, რომ ქრისტეს კვართის დამარხვის ადგილი ლიბანიდან მოტანილი და მცხეთაში დარგული ნაძვის ახლოს იყო (ეს სამეფო ბალის ის ადგილია, საიდანაც აღებული მინა წმ. ნინომ ბალის უშვილო მცველსა და მის ცოლს შეაჭამა, რის შედეგადაც მათ შვილები გაუჩნდათ. ამ ადგილას, მოგვიანებით, სვეტიცხოვლის ეკლესია აშენდა).

მხოლოდ მცხეთაში მოსვლიდან მეოთხე წელს დაიწყო ნინომ ღია ქრისტეს რკულის ქადაგება და სწეულთა კურნება.

„მეურნელ ფოთლაზ“ გოვლენი ჭყოდიდელი „სკუა“



ლევით ინჯი

მარტვილის ცისა და მიწის შარმი აპრილის მზის ფარდაგს მეტ შნოსა და ლაზათს ჰმატებს. მწვანედ მოსილი აქოჩრილი ტყის კორომები ძველი კოლხეთის სიდიადეზე გვეჩურჩულებიან. მთიდან ჩამონაურნი წყლით გაჯერებული მდინარე აბაშა კორდიდან კორდზე გახარებული დახტის და ახალი ამბის მოსათხრობად ემზადება. ამ დროს კ. გამსახურდიას გენიალური ფრაზა მახსენდება: „როგორც მუხის ტევრებში მუხები ერთმანეთს გვერდიგვერდ მდგარნი, ერთურთს აძლიერებენ — გარშემორტყმულნი უფრო ძლიერნი ხდებიან, არც ერთს და არც მეორეს ქარიშხალი და უამთ-კირთება ვერას აკლებთ“. ალბათ გაგიკირდებათ, სად ეს და სად ჩემი მონოლოგის ტექსტი. მაშ, გაგიმხელთ საიდუმლოს, ჩემი კალმის ადრესატი ინჯიების ოჯახია.

მარტვილში სოფელ ნალეფსაოში ილია ინჯიასა და ტატიანა სილაგაძის ოჯახი ცხოვრობდა, ოჯახი, სადაც ორი დიდებული ქართველი ვაჟკაცი იზრდებოდა, არავინ იცოდა, მათ სახელსა და გვარს საქართველო და არა მარტო საქართველო ესოდენ ფართოდ თუ გაიცნობდა. დავით და ფრიდონ ინჯიები, ჭყონდიდელი კოლხები, რომლებიც მართლაც რომ ფესვმაგარი მუხებივით უდგანან გვერდით ერთმანეთს და უამრავ ვაჟკაცს შორის გამორჩეულნი არიან.

დავით ინჯიას ბედის ვარსკვლავი 5 აპრილს მოსწყდა თანავარსკვლავედს და დედის უბეში დაიდო ბინა. უფროსი ძმა, ფრიდონი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ჩვილის მიმართ, უვლიდა, აკვანს ურნევდა. ერთმანეთის სიყვარული და ერთგულება დედამ ბიჭებს

პიროვნება


ბავშვობიდანვე ჩაუნერგა. სწორედ ამიტომაა, რომ ჭყონდიდი მისი გაზრდილი „სკუებით“ ამაყობს. „დავით ინჯია ჭყმარიტი კოლხი რაინდია, მის ძარღვებში უძველესი მეომარი ტომის სისხლი მიმოიცევა. სიყვარულიც განუსაზღვრელი იცის და თავდადებაც“. (წიგნიდან „სამეგრელოო ჩემო...“).

დავითი 1952 წლის 5 აპრილს მარტვილის რაიონის სოფელ ნალეფსაოში დაიბადა. საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და სწავლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგრძო. ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა მიღწევებით არ კმაყოფილდება და რამდენიმე წლის შემდეგ იურისტის პროფესიას ეუფლება.

წლების განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. მეუღლე ქალბატონი ნაირა კვესელავა იხსენებს: „ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო, არაფერი დაკლებია, მონაწილეობდა ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. აფხაზეთში და სამაჩაბლოში... მხარში იყო დაჭრილი. გარკვეული პერიოდი ახმეტის პოლიციის უფროსი იყო. რამდენიმე წელი მარტვილის პოლიციის უფროსადაც იმუშავა“.

ბატონი დავითი თავის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან შტრიხად სწორედ ამ პერიოდს მოიხსენიებს. იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში (აფხაზეთი და სამაჩაბლო) მონაწილეობდა როგორც პოლიციის სავალე მეთაური, მან ორივე მხრიდან თავის შენაერთები ყოველგვარი დაზიანების გარეშე, უდანაკარგოდ გადმოიყვანა. დავით ინჯიას საბრძოლო ბიოგრაფიას პრესა არაერთხელ გამოიხმაურა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი ახმეტაში პოლიციის უფროსობის დროს, სამაჩაბლოში გამოჩენილი ვაჟაუცობისათვის რაიონული აღმასკომის გადაწყვეტილებით გარკვეულ სამსახურებს და ცალკეულ პიროვნებებს შესასყიდად მსუბუქი ავტომობილები გადაეცათ. მათ შორის მანქანა დავით ინჯიასთვისაც უნდა მიეცათ. მისი არაერთი უარის მიუხედავად, ისე



დავით ინჯია ქალიშვილთან ლიკასთან ერთად



დავით ინჯიას ვაჟი ჯაბა ინჯია

მოხდა, რომ თანამშრომლებს წინააღმდეგობა ველარ გაუნია, თუმცა გადაწყვიტა, რომ ავტომანქანა სისხლის სამართლისგანყოფილებისათვის გადაეცა. ეს იმ პერიოდში სიმამაცედ და დიდსულოვნებად შეაფასეს.

პოლიტიკიდან პოლიტიკაში აღმოჩნდა. მარტვილის რაიონმა იგი ორჯერ აირჩია საქართველოს პარლამენტის დეპუტატად (პირველი და მეორე მოწვევის).

ბატონი დავითი ამჟამად კერძო ენერგეტიკულ სექტორში მუშაობს.

ჰყავს ოჯახი, მეუღლე ნაირა კვესელავა პროფესიით ფიზიკოსია. ქალიშვილი ლიკა ექიმი-კარდიოლოგია, ჯაბა კი ბიძის კვალს გაჰყვა, კავშირგაბმულობის პროფესია აირჩია.

ინჯიების ოჯახისთვის მარტვილში ჩატარებული არჩევნები რეალურ მარტვილობად იქცა. დავითმა ორგზის დეპუტატობის შემდეგ ასპარეზი უფროს ძმას, ფრიდონს დაუთმო. სწორედ ეს ფაქტი შეიქმნა მიზეზი დავითის პატიმრობის და ფრიდონის გაცევისა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი დავითი 2014 წლის პოლიტიკური პროცესების აქტივისტი მონაწილე გახლდათ. იგი „ნინო ბურჯანაძე — ერთანი ოპოზიციის“ მხრიდან იყრიდა კენჭს მარტვილის გამგებლობის კანდიდატად. საინტერესოა როგორ იხსენებს იგი აღნიშნულ ფაქტს და რა პოლიტიკური მრჩაშით საზრდოობს

პიროვნება



დავით ინჯიას საბრძოლო შენაერთი სამაჩაბლოს ომის შემდეგ

დღეს ყოფილი პოლიტიკოსი:

„ადვილი არ იყო ჩემთვის მარტვილის გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის მიღება ოპოზიციური პარტიის სახელით, თუმცა ვფიქრობ უფლება არ მქონდა უარი მეთქვა ჩემი მარტვილისათვის. მე არა მცულ დღეს, გუშინ, როცა ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული—გავპედე მეხელმძღვანელა მარტვილის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისათვის, ამაზე აპელირებას არ ვაპირებ, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვიტყვი, რომ როცა საქართველოში ვიღაცეები! ქართველს სისხლს სწოვდნენ, მე ისინი, როგორც ახმეტაში, ასევე მარტვილში არ გამიჭაჭანებია. კრიმინალური სიტუაცია სტატისტიკის მიხედვით სტაბილური იყო.



რაც შეეხება ორგზის პარლამენტარობას, ერთ რამეს ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ბრმად არცერთ კანონპროექტზე ხმა არ მიმიცია.

რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, ბიძინა ივანიშვილმა რომ საქართველოსთვის ფასდა-უდებელი საქმე გააკეთა, ამას მტკიცება არ უნდა, თუმცა გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

ჩემი პოლიტიკაში დაბრუნების შემთხვევაში ვფიქრობდი ყურადღება გამემახვილებინა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სამუშაო ადგილების

შექმნა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით მოგვარება, მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება, ახლადდაქორწინებული წყვილებისათვის ფინანსური მხარდაჭერა, მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფა... ეს ყველაფერი გამგებლის პოზიციიდან ნამდვილად შესაძლებელია“, ამბობს ბატონიდავითიდადასძენს, რომ თითოეულ ადამიანს ჩვენი ისტორია გვაქვს, გადავხედოთ ნარსულს, გავიხსენოთ ყველაფერი და მივიღოთ რეალური გადაწყვეტილება.

მარტვილში არსებობენ ადამიანები, რომლებიც დღესაც იხსენებენ, თუ როგორც ეფერებოდა იგი საოლქო კომისიის თავმჯდომარეს და როგორ იცავდა მათ ხალხის რისხვისაგან, მაგრამ მაინც მოხდა მოსახდენი, ერთი ძმა პატიმარი, მეორე ძმა ევროპაში გაქცეული...

მარტოდ მარტო დარჩენილი დედა დღე და ღამე შვილებზე დარდა და ნაღველში ატარებდა. იფიქრა პატრიარქს, ილია II-ს წერილს მივწერ, მომისმენს და იქნებ ჩემს პატიმარ შვილს რაღაც საშველი გაუჩნდესო. ქალბატონმა ტატიანამ პატრიარქს წერილი ნამდვილად მისწერა, თუმცა ვარაუდობენ, რომ იგი ადრესატამდე არ მისულა.



დავით ინჯია
დედა — ტატიანა სილაგაძე
შვილი — ჯაბა ინჯია

პიროვნება

გთავაზობთ წერილის შინაარსა:

თქვენი უშმინდესობა!

მოვეხენებათ, 25 ღერებელს ქართული მართლმარიტული უკუნის საყოველო მონაცემის ჩრეს არის შენიშვნები - უშმინდესი რა უნდა გრძელოს ასკუნდების სამართლის უფლის ჩერები უშმინდეს შენიშვნის.

საქართველოს პრეზიდენტი მისამა კათოლიკოს-პატრიარქის აღნიშნულ კუთხის მობიცურ გარეშეუცემის ასკუნდების რა თავარაც, როგორც რეგისტრით მართლმარიტული წლისწანი, ამინტბის ეზოალოს ამ დღი ღვთის მარტი.

როდესაც ამის შესახებ პრეზიდენტი კვითხულობ. გარდა მინათება იმ იმეგით, რომ მიუხედავად განკუთღი მძიმე და საჭმალი ცვლილებისა, ჩემი ქვეყნის გარემოს, არ ასევე წლისწეს ჭეშმარიტ გზას და უ. მოძრავი არც. მაგრამ იმავრცოცურ გარდა მიკვება იმის გაფიქრებით, რომ ამ საუკუნის უკანასკნელ შემარტინულ გარდა ჩემი შეიძლების გარეშე შეხვება - ერთი უკროპსში ეძღვს დაკავშირ სიმარტის, მეორე კი ჰავამოვნი.

ამავარ მე 82 წელს გადაცირკულ კან. კურ კილუკი ბაჯშვილის ცებილი მეობათქო, რადგან მშობლები არც დაკურგუ და ფულობრივად ყველამორ გავიზრებუ. მაგრამ ღმერთი მონაცემუ, რომ კაუი მაჩუქა - ფრიდონი და რავთი. ისინი იქცნენ ჩემი ცხოვნების მიხნებ და იმეგად და სასე მე თვის როლის მშობლების ხითბო და სიყვარული დამკურა, გათმავაზურად მათზე ზორულობრიტბი. მე და ჩემი მუშარა პერაგოვები გახრილ და შეიძლებასაც წიგნის, შემომისა და სიმარტის სიყვარულის ვზრდიდთ. დაგვითახის კიდევ ამავი - ორივე კაუი განათებული. კუყნისა და სახლოვარობისათვის მისაღებ და სასარგებლო პიროვნებადა სამოყვანილი გადასახლდება. კური მათ თავს შეიძლების მოშერნებას და არაუგორის მხერებულების, მაგრამ იმეგად მაკა, საქმის გარეასმითა და სოლის ფესტივალის შეგვეარ, დარსეცმლება მათი ყველაშეულებისა.

მე ძარჩევ გამიშვილება იმის დაჯულება და არა და კურს დაიხურები, რომ ჩემს შეიძლება, რომ უშობითავ დღემზე მხოლოდ კამაყობრი, კუყნისა და სახლის წინაშე რანაშეული აუკი სადებილი. ხილონათელ ყვირი ის კანის, რომ დღე ცხოვნილი არ გვიშვილება და მართლმარიტულება შესერიმაში პაკი შეკუნილი ჩემი შეიძლებას მოშერნებას და არაუგორის მხერებულების, მაგრამ იმეგად მაკა, საქმის გარეასმითა და სოლის ფესტივალის შეგვეარ.

ხუცოვი ამიცოდ, თხოვნით მოვმართავთ თქვენ - ურთის სიცილ მამას, გამოიჩინოთ წლისწანის დიდებულოვნება და იშეამოვლილი საქართველოს გუნდურული პიროვნელობის წიმაშე ჩემი შეიძლება - დავთ ინჭის წინასწარ პარიმობისა გათავისუფლების თაობაზე.

ყმორისი გოხვით ხუცოვთ ხუცოვების ბოლო შობა-ახალწელ იხი, რომ ურთის შეიძლება საკურიმოში მყავრეს, მეორე კი სახლში კურ ბოლცნებორებს. მითყმეცებ, რომ მათი დამნაშავეობა ჯერ დარსეცმლებული არ არის და კომერციება, რომ მარტ პირის და მათი ყვანაშეულობა დარსეცმლება.

გროვენო მომავა - შობა-ახალწელ წელს, ღმერთი გფურნებეთ თქვენ, თქვენს თავსს და სოლის ფესტივალის.

გთხოვთ მასაციოთ. ჟავიზისუმით,

ქართული ენისა და რიცორაციის

მახსურულები, ამავარ პენსიონის ც. ინჭია

22.12.99

დავით ინჯია სოფლის, სანათესაოს და სამეცნიეროს უსაყვარლესი ადამიანია. მას მოქარბებული სიყვარულის გამო მზე უწოდეს, მზე, რომელიც ძალუმად ათბობს ირგვლივმყოფთ. მისთვის სხვათა თანადგომა და მხარდაჭერა უდიდესი ბედნიერებაა. მასზე საუბრისას ერთი ასეთი სტროფები გამახსენდა:

,ხეო უფლისაო,

მიმრავლე მოდგმა,

მოისხი გარსეგლავეთი გრიალა,

“სამეცნიერო” № 6

მე კი დამიგულე იმ მკურნალ ფოთლად, რომელიც დაეცემა მამულის იარას“.

ბატონი დავითი ყოველი დავრდომილისა თუ სასონარკვეთილი ადამიანისათვის „მკურნალ ფოთლად“ მოვლენილი ადამიანია, რომლის კეთილი საქმეც ბრნებინვალე ვარსავლავიგით თვალისმომჭრელად კაშკაშებს უფლის ხის ტოტზე, ეს ის ხეა, ინჯიების ოჯახს წყალობით რომ აღავსება.

606 რევილი

საქართველოს ლიმიტის გენტი

დადო ბათუმი



ენგურს გალმა დარჩენილ საქართველოს ცრემლი ჯერაც არ შეშრობია, ერთიან საქართველოს სხეულს მოგლეჯილი აფხაზეთი ჩვენი ტკივილია, იქ სხვანაირად მღეროდნენ ზღვის ტალღები, მზის სხივებიც სხვანაირად ანათებდნენ და ათბობდნენ გარემოს. რამდენი სახლი დაობლებულა, გულთან ახლოს, მაგრამ თვალსაწირიდან შორს, ვინ იცის რამდენი ღირსეული ადამიანის საფლავია დარჩენილი... დატყვევებული საფლავებისთვის პატივის მიგება ოცნებად გამხდარა ენგურს გამოღმა მყოფი ქართველებისთვის.

ლადო ბესელიას შესახებ პრალაში მოღვაწე ქართველმა, აფხაზეთის მკვიდრმა სოსო მატკავამ მიამშო, ბატონი ლადოს საფლავი აფხაზეთშია, მისი შვილი ეფერება ახლა ღირსეული მამის სამუდამო განსასვენებელს. ის იყო ნაღდი ქართველი ვაჟეაცი, მდიდარი სულისა და დიდი გულის მქონე, საიმედო მეგობარი, პოეტური სულის, სანიმუშო მამა და დიდი საძმოს ერთგული წევრი... მისმა თაობამ თითქოს სიყვარული და თანადგომაც განსხვავებული იცოდა, ურთიერთობებს სხვა ხიბლი დაჲკრავდა თითქოს.

„ეს იყო ერთი დიდი საძმო, სოხუმში მოღვაწე აპაშელი ღიმილის ბიჭები: სერგო მატკავა, ლადო ბესელია, კარლო ნოდია, ვალიკო მიმინოშვილი, უორა ნოდია (შემდგომ თბილისა და ზუგდიდში ცხოვრობდა), სოხუმელი ვალოდია ძაძამია, იგი კბილებამდე შეიარაღებულ მომხდურთ უიარაღოდ



დახვდა და შეენირა კიდეც თავის ფუძესთან, სახლში შესასვლელ ჭიშკართან, როცა ეროვნება ჰკითხეს, არ დაუმაღავს, უკან არ დაუხევია და თამამად თქვა—მე ქართველი ვარ!

უყვარდათ ცხოვრება, უყვარდათ ერთმანეთი, ერთად ყოფნა, ძმობა, გვერდით დგომა, თანადგომა, ეს იყო ერთი დიდი ოჯახი. თავშეყრის, შეკრების ადგილი იყო უცვლელი — ჩვენი სახლი სოხუმში. — ეს სიტყვები ამონარიდი გახლავთ იმ წერილიდან, რომელიც სოსო მატკავამ პრალიდან გამომიგზავნა.

გურანდა ბესელიას, ბატონი ლადოს შვილს,

ფესვები

თბილისში შევხვდი და ვესაუბრე, სევდაჩამდგარი თვალებით მიყვება აფხაზეთზე, მის ოჯახსა და მამაზე, ემოცია უსაზღვროა, თითქოს ერთად მოვიარეთ გარდასული წლების საინტერესო გზები. ვფიქრობ, ქალბატონმა გურანდამ უკეთ გადმოსცა მამის, დიდებული ადამიანის — ლადო ბესელიას მიერ განვლილი ცხოვრების ამბავი, ვიდრე მე შევძლებდი.

“ლადო ბესელია არ იყო გამოჩენილი საზოგადო ან პოლიტიკური მოღვაწე, არც მეცნიერი ან წარმატებული ბიზნესმენი, არც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე...”

დაიბადა ბათუმში, 1907 წელს. იზრდებოდა დედულეთში, აბაშის რაიონში, სოფელ ონტოფოში, ბეჭია-ბაბუას, შარვან გადელიასა და ელისაბედ ცომაის ოჯახში, ნათესავ ნადარეიშვილებთან ერთად. მთელი ცხოვრება სათუთ მოგონებად შემორჩა მას ონტოფოს ულამაზეს ეზო-გარემოში გატარებული ბავშვობის წლები.

მისი მშობლები — აფიონ ბესელია და მატო გადელია ნისირში ცხოვრობდნენ. ლადო უფროსი შვილი იყო. 35 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ დღემდე იხსენებენ, როგორც უგანათლებულეს, უსათნოესი პოეტური სულით დაჯილდოვებულ კეთილშობილ, მოყვას ადამიანს. ერთადერთი, რის მოპოვებასაც მთელი სიცოცხლე ეშურებოდა, რასაც ეძებდა და გასცემდა — ადამიანთა სიყვარული იყო. ზედმეტად თავმდაბალს და კაცთმოყვარეს ერთიათასად უბრუნდებოდა ეს სიყვარული.

სამი რამ აქვს ადამიანს ღვთისგან ბოძებული — სილამაზე, ნიჭი, სათნოება. ღვთისგან ნიჭით და გარეგნობით დაჯილდოვებულს, არასოდეს არავინ გაუკიცხავს, არ გაუქილიკებია, არასოდეს არავისი აუგი არ დასცდენია, მომდურავი არასოდეს ჰყოლია. მუდამ მომრიგებელ-მოსამართლის და დამცველის როლს ირგებდა თავისი პროფესიიდან გამომდინარე.

ნაკლიც ბევრი ჰქონდა — არ იცოდა „ფულის კეთება“, არ იყო მიზანდასახული. ამაში ალბათ, მისი მრავალმხრივი ნიჭი უშლიდა ხელს. ირეალურ სამყაროში ცხოვრობდა თითქოს, რადგან ყოფიერებაში ძალიან უძლური იყო. გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა კორუფცია ყვაოდა, განათლებული, პატიოსანი იურისტი ვის რაში სჭირდებოდა. ლადო ჩუმი პროტესტის ნიშნად უმუშევარი დადიოდა. სამამულო ომის პერიოდში მარტვილში (მაშინდელი გეგეჭკორი) მიავლინეს მოსამართლედ — „უქრთამო მოსამართლის“ სახელი დაიმკვიდრა. მთელი

ცხოვრება მისტიკოდა თავის პირმშოს და და-ძმას, რომლებიც ძალიან ახალგაზრდები გამოაცალა ბედმა. ამ დიდმა მწუხარებამ შეინირა მისი კარიერა და კეთილდღეობა. ძმა — სერგო, თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეორე გამოშვება იყო, 23 წლისა გარდაიცვალა. მამა მაშინ კონსერვატორიაში სწავლობდა. ძმის გარდაცვალების შემდეგ აღარ გაუგრძელებია სწავლა. შემდეგ თავის დასთან, ლუბასთან ერთად ჩაირიცხა საერთაშორისო იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც თბილისში ფუნქციონირებდა. 28 წლის ულამაზესი ლუბა, კალინინის რაიონის პროკურორის თანაშემწე, ტიფით გარდაცვალა. მიუხედავად ცხოვრების ქარტებილებისა, ლადომ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ბავშვური გულუბრყვილობა და კაცომიყვარეობა.

ათას კაცში გამოარჩევდით მანერებით, არტისტული მიხვრა-მოხვრით, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო, მჭერმეტყველებით და დახვეწილი ქართულით გამოიჩინეოდა. ფენომენალური მეხსიერებაჲქონდა — „მოსიარულე ენციკლოპედიას“ ეძახდნენ. მოსაუბრეს ყურადღებით უსმენდა, არ შეაწყვეტინებდა, თუნდაც მცდარი აზრი მოესმინა.

პოეზია იყო მისი სულის მკურნალი. „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ სტროფებს სწავლობდა არა მარტო ქართულად, არამედ რუსულადაც. შალვა ნუცუბიძის თარგმანს ანიჭებდა უპირატესობას, ზაბოლოცკისეულ თარგმანთან შედარებით. ვაჟა-ფშაველა გამორჩეულად უყვარდა, გალაკტიონის და ტერენტი გრანელის პოეზიას ხშირად გვიკითხავდა შვილებს. გალასთან და ტერენტისთან პირადი მოგონებები აკავშირებდა. ჩვენი ბავშვობის წლებში გრიგოლ რობაქიძის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა. მამა საიდუმლოდ გვიყვებოდა მასზე, როგორც დიდ მწერალზე. 20-იან წლებში გამოცემული „გველის პერანგის“ ეგზემპლარის შემორჩენილ ფურცლებს სათუთად ინახავდა.

ჩვენთვის, მისი შვილებისთვის, პატრიოტიზმი მხოლოდ ტერმინი არ იყო, ის ყოველდღე გვინერგავდა საქართველოს სიყვარულს. ისეთი გრძნობით კითხულობდა „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედას“, რომ ჩვენ, ცრემლმორეულნი ვისმენდით ამ მართლაც დიდებულ ლექსს. იშვიათად მინახავს ასეთი „ერებითი“ ქართველი — საქართველო და ქართველობა მისთვის ყველაზე აღმატებული ცნება იყო. სუფრას მხოლოდ ქართულად უძლვებოდა.

ფოთის გიმნაზიაში სწავლობდა. ოჯახიდან მოწყვეტილ პატარა ბიჭს, ალბათ, ეკონომიკურად

ფესვები



უჭირდა, რადგან სიყვარულით იხსენებდა დიდი ფიზიკური ძალის მქონე ფოთელ გოლიათს, კაკო კიპურჭაძეს, რომელიც დუქნების მფლობელი იყო და ლადოსავით ხელმოკლე ახალგაზრდებს ეკონომიკურად ეხმარებოდა.

ფოთის ნავსადგურში უცხო ქვეყნების გემები იდგა. ინგლისის გემზე ყოველ საღამოს იმართებოდა „დანსინგი“. ლადო დღისით გემბანს ხეხავდა, რომ საღამოს დანსინგზე დაეშვათ. აქ ისწავლა ევროპული და ლათინურ-ამერიკული ცეკვები. ისე კარგად ცეკვავდა, რომ ილიკო სუხიშვილთან ერთად 1925-1926 წ.წ. ფოთში ასწავლიდა ქართულ და ევროპულ ცეკვებს. ლადოს და ილიკოს ფოთელი მეგობარი, ვანო ბობონიძე შეძლებული ოჯახიდან გახლდათ. თბილისში პეროვსკაიას 5 ნომერში ჰქონდა ბინა.

ფოთიდან თბილისში გადმოსული ლადო და ილიკო კარგა ხანს ცხოვრობდნენ ბობონიძების ბინაში. მერე ლადოს იქვე, 7 ნომერში მისცეს პატარა ბინა, სადაც დღემდე ცხოვრობს ჩვენი ოჯახი. ამ ეზოში აღიზარდა ცნობილი მსახიობი კოტე მახარაძე. ლადო კოტეს დედ-მამასთან მეგობრობდა. ჩვენთვის ძალიან ძვირფასი იყო კოტეს და მისი სიძის, გოგი გვასალიას მონაყოლი მამის ახალგაზრდობის წლებზე. ექსტრავაგანტური ჩაცმულობით გამოირჩეოდა: ტროსტი, ყალიონი, ჭრელი ჰალსტუხი და დღეში რამდენჯერმე გამოცვლილი ჩადგმული საყელო — 20-30-იან წლებში ეს სითამამის ატრიბუტი იყო. მისთვის დამახასიათებელი სიარულის მანერით, ტროსტით დადიოდა რუსთაველზე, ზემელზე. კარგი აღნაგობა ჰქონდა, გიორგი ეგნატიშვილის შეგირდი ყოფილა ტანკარჯიშში.

1949 წელს, მცირენლოვანი ქალიშვილის გარდაცვალების გამო გადაწყვიტა თბილისიდან

ნასულიყო. ასე მოხვდა ის ჯერ გაგრაში, მერესოხუმში, მიუხედავად ამისა, თბილის მაინც ვერ შეელია, მასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია, არ გამოუტოვებია თბილისში ჩატარებული არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, სპეციალურად ჩამოვიდა თბილისის მეტროპოლიტენის გახსნაზე. თბილისის „დინამოს“ თითქმის ყველა მატჩის ესწრებოდა. ბორის პაიჭაძეს ფოთიდან იცნობდა, ქარბორიას ეძახდა — ერთმანეთს ყოველთვის მეგრულად ესაურებოდნენ, სიცილ-ხითხითით იგონებდნენ ფოთში გატარებულ წლებს.

გაგრაში ყოფნის ერთ ეპიზოდს ძალიან საინტერესოდ აღნერს მისი მეგობარი, ცნობილი ურნალისტი, აწგანსვენებული ალექსანდრე თოფურია კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიღლვილ მოგონებაში „კონსტანტინეს მიმინო“, რომელიც გამოქვეყნდა 2001 წელს, გაზეთ „გზანი“-ში.

აი, რას ნერს ა. თოფურია: „ცხოვრების გზამ გაგრაშიმიმიყვანა. იქვამიშვეს სამუშაოდ, საქალაქო გაზეთის რედაქტორი. გასაგები მიზეზების გამო წილად მხვდა პატივი გაგრის მესვეურებთან ერთად მემასპინძლა არაერთი საპატიო სტუმრისთვის. მათ შორის იყო ბატონი კონსტანტინე. ეს ის დრო იყო, როცა კონსტანტინე გამსახურდიას აკადემიკოსის წოდება მიანიჭეს. რაღაც ეშმაკად, ურნალ „ნიანგში“ დაებეჭდათ შარუ, რომელმაც იგი საშინლად გააბრაზა. შარუს ერთვოდა მინანერი: „სწავლულებთან სიარულში გამსახურდი, კოსტა, და ჩადექი რიგში აკადემიკოსთა.“ კონსტანტინე მთელი დღე ბობოერობდა, თბილის რომ დავბრუნდები, ყურს მოვაჭრი რედაქტორს, ასე იცოდნენ შურისძიება ძველმა ქართველებმა. იმავე დღეს ქალაქის მესვეურებმა სუფრაზე მიიწვიეს მწერალი. მწერლის სადღეგრძელო ყველამ აიტაცა. სუფრა ეშში შევიდა. დადგა ლამაზი და მაღალფარდოვანი სადღეგრძელების ჯერი. ამ დროს ნამოდგა ჩემი მეგობარი ლადო ბესელია და რიხიანად ნამოიწყო: „სწავლულებთან სიარულში გამსახურდი, კოსტა (ჩამოვარდა სიჩუმე. კონსტანტინემ ნარბი აზიდა), და ჩადექი რინგში აკადემიკოსთა!“ ლადომ სიტყვა „რიგი“ რინგით შეცვალა. ამას ყველაზე პირველი თავად კონსტანტინე შეეხმიანა, აღფრთოვანდა — ეს უნდა იყოს თამადა, აგერ გადმოსვით, ჩემთან ეს გამჭრიახი ყმაწვილიო და იმ დღეს რამდენჯერმე

ვესვები

გაიმეორა, როგორ თქვა იმ ყმაწვილმა, როგორ, მაშა აკადემიკოსების რინგში, არა?“

სოხუმში, ჩვენს სახლში, რომელიც ზღვასთან ახლოს იყო, ხშირად ჩამოდიოდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა პროფესორი, ისტორიკოსი შოთა ბადრიძე მეუღლითურთ. შოთა საოპერო ხელოვნების დიდი მოტრფიალე იყო მამის მსგავსად. ლადო და შოთა საღამოს „მაიაკის“ სანაპიროზე გადიოდნენ და საოპერო არიებს ასრულებდნენ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უკეთესად შესრულებაში. სანაპიროზე შეკრებილი დამსვენებლები დიდი ტაშით და „ბის, ბრავოს“ შეძახილებით აჯილდოვებდნენ მათ. ასეთი უცნაურობები ახასიათებდა.

სოხუმში მამის უახლოესი მეგობარი იყო პროფესიით იურისტი სერგო მატკავა. ძმის მაგიერს უწოდებდა ლადო. მათი მეგობრობა და ურთიერთობა მართლაც სამაგალითო იყო.

— სერგო, ჯიმაია — ასე მიმართავდა ყოველთვის. სერგო, თავის მხრივ, მშობლიურად მზრუნველობდა მასზე, ხელს უმართავდა და მხარში ედგა ლადოს. სერგოს უმცროსი ვაჟი, სოსო — იგივე სერგო მატკავა (ამჟამად ის პალაში ცხოვრობს) დიდი სიყვარულით და სითბოთი იხსენებს ლადო ბიძიას მზრუნველობას მის მიმართ. სერგოს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ თბილისიდან, რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან. მათ პატივსაცემად გაშლილ სუფრას ყოველთვის ლადო თამადობდა. სერგო მატკავა, ჩვენი საყვარელი სერგო ბიძია ვერ გადაურჩა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს — ის დახვრიტეს 1993 წელს.

ლადოს გულითადობა, მისი ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული ყოველთვის იზიდავდა ახალგაზრდებს. მათ შორის იყო სოხუმის მკვიდრი ლავრენტი ბიბლაია, რომელიც გამორჩეულად უყვარდა მამას. დღეს ის მოსკოვში მოღვაწეობს. ხშირად ჩამოდის თბილისში და დიდი სითბოთი იხსენებს მამასთან დაკავშირებულ საინტერესო ისტორიებს.

მამას მეგობარი იყო აგრეთვე სოხუმელი იურისტი ვალოდია მელაქე. მახსოვს, როგორი პატივისცემით იხსენებდა ლადო თავის კოლეგას, ასაკით თანატოლს, საუკეთესოდ ჰქონდა შეფასებული მისი ნიჭი და გამოცდილება.

მამა გარდაიცვალა 1980 წელს, თბილისში, ერთკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ. მიხაილოვის საავადმყოფოში რომ მივიყვანეთ, ჩუმად მითხრა: აქ გარდაიცვალა ჩემი და და მეც აქ მიწერია სიკვდილი. მასთან სანახავად ყოველდღე მოდიოდა მიხაილოვის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ცნობილი პიროვნება ტარიელ ჩიქოვანი.

“სამეცნიერო” № 6

მამა, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა ბატონ ტარიელთან ერთად მღეროდა რუსულ რომანსებს — უცნაური კაცი იყო! დარჩა ორი ქალიშვილი — ლუიზა, თსუ ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, შოთა რუსთაველისა და ლენინის სახელობის სტიპენდიანტი, დაამთავრა ასპირანტურა და გათხოვდა სოხუმში. მუშაობდა სოხუმის ინსტიტუტში პედაგოგად. დღემდე იქ ცხოვრობს და პატრონობს მამის საფლავს. იმედია, მალე გადმოვასვენებთ მამის ნეშტს თბილისში. ლუიზას ჰყავს ქალიშვილი — ლეილა ავიძბა, რომელმაც შექმნა ქართულ-აფხაზური ოჯახი და ჰყავს ორი ვაჟი — 9 წლის ნიკოლოზი და 4 წლის ალექსანდრე სიხარულიძები. ლეილამ დაამთავრა თსუ ფილოლოგის ფაკულტეტი, ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია კავკასიოლოგიაში. ვესათუთებით და ვცდილობთ გავუფრთხილდეთ მამის სახელს.“

მართლაც ასე ესათუთებიან და ეფერებიან ლადო ბესელიას სახელს მისი შვილები და შვილიშვილები. უსათნოეს ქალბატონთან, გურანდა ბესელიასთან საუბრისას მინდოდა დრო დაუსრულებელი ყოფილყო, ამ კეთილშობილი ადამიანის ოჯახი ახლაც კარგი ადამიანების მყუდრო სავანეა. ბატონი ლადოს მეუღლე — მაია ხაინდრავა 95 წლისაა, მან იტვირთა ამ დიდებული კაცის მეუღლეობა და ღირსეული ქართველქალობით გაუძღვა ოჯახს, იგი ახლა გურანდასთან ერთად ცხოვრობს.

პოეტმა მიხეილ ჩაჩუამ არაერთი ლექსი მიუძღვნა ლადო ბესელიას, ისინი საუკეთესო მეგობრები გახლდნენ. ერთ-ერთ ლექსში იგი ამბობს:

„...ერთხელ ოჯახში ვეწვიეთ ლადის
(აქამდე მოქევა მე იმ დღის მაღლი),
უშაქარწელო ესვით ოჯალები
და მაშინ, როცა შევედით ეშხში,
როს მივჭრინავდით მეშვიდე ცისკენ,
ის დაიჩოქა, ჩვენც დაგაჩოქა
და საქართველოს სადღეგრძელო დავლიეთ ისე!“

საქართველოს ულამაზეს კუთხეში, აფხაზეთში, ქართულ ფესვებზე აღზრდილი ლადო ბესელიას შთამომავლობისათვის ერთიანი და ძლიერი საქართველოა საფიცარი და დიდია რწმენა იმისა, რომ აფხაზეთის მინას, რომელსაც მშობლიური სურნელი აქვს, დაუბრუნდებიან მისი შვილები და შვილიშვილები.

ვერიპო ჯიგლაპე



ჩვენი დროის აიდეი

„ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი — ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორც არ უნდა იყოს მისი საამნუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განნირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუვდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ირწმენს და მის ტკივილს არ გაიზიარებს. ბუნებაოდესმესამაგიეროსგადაუხდის თავის ყოვლისშემძლებით გააამპარტავნებულ ადამიანს და მარტოდმარტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე...“ — საამნუთიერო ინტერესებს არასოდეს აპყოლია მერაბ ოდიშარია, ბუნებისგან ბოძებული საგანძურის გრძნეული ენა მუდამ ესმოდა. იგი სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოსირში ცხოვრობს. ჩვენი დროის მინდიას ეზო-კარის სიახლოვეს მოხვდებით და... ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდებით, 200 წლოვანი უზარმაზარი ჭადრების ხეივნის ფოთოლთა შრიალი ბუნების სიმღერას მოგაგონებთ, თვით ამ ხეივანში გაივლით და თავს ვერასოდეს დააღწევთ საოცარი სილამაზის ტყვევობას.

16 ჭადრის ხე ამაყად აღმართულა ოდიშარიების ეზოში, როცა მათზე მიამბეს, მონათხრობი მანამ ვერ ვირწმუნე, სანამ მათ არ ვესტუმრე და საოცრება თავად არ ვიხილე.

პირველი შეკითხვა, რომელიც მაშინვე ამო-ტივტივდა გონებაში, მორიდებით, მაგრამ მაინც ვკითხე ოჯახის უფროსს, ბატონ მერაბ ოდიშარიას

— როგორ შესძლო აქამდე, ამ დუხტირ გარემოში, ასე ეპატრონა ხეებისათვის?

აი, რა მიპასუხა ბატონმა მერაბმა: „ეს ხეები 180 წელზე მეტს ითვლიან, ჩვენი წინაპრების დროინდელია, მათ დარგეს, დამიტოვეს, უფლება არ მაქვს არ ვუპატრონო, არ მიეხედო, არ მოვეფერო. ამ ეზოში ბიძაჩემის ნათლია — დიმიტრი (გუძია) ოდიშარია ცხოვრობდა, მაღალი, წარმოსადეგი კაცი, ციმბირში გადასახლეს, იქიდან დაბრუნებული სულ ელოდებოდა თურმე ცნობას გამართლების შესახებ, სამწუხაროდ, სიცოცხლეში ამას ვერ მოესწრო. სწორედ გუძია ოდიშარიას მამის დარგულია ჩვენს ეზოში ჭადრის ხეები. ბიძაჩემი პანტე იდიშარია აფხაზეთში ცნობილი ექიმი გახლდათ, მასთან ჩავდიოდი ხოლმე, სწავლაზე ვოცნებობდი, მერე მაინც სოფლისკენ გამომიწია გულმა, ჩამოვედი, ოჯახი შევქმენი, ღრმად მოხუცებულ გუძიასთან ხშირად მოვდიოდი, ვეხმარებოდი... მხედავდა რომ ბუნება მიყვარდა, ჩემი მეუღლეც სულიერივით, სათუთად ეპყრობოდა მცენარეებს, გვასწავლიდა, გვარიგებდა, რომ ბუნებას მოვლა, გაფრთხილება სჭირდებოდა, ამიტომაც დაგვიტოვა ეს ყველაფერი დაროგორშეიძლება ამ განძსა არ გავუფრთხილდეთ? დიახ, ეს ჩვენთვის კი არა, ყველასთვის განძია და ბუნება რასაც გვაჩუქებს, გაფრთხილება უნდა შეგვეძლოს.

შემოდგომით ჭადრის ხეებს ქერქი უსკდებათ, ცვივა, ტკაცა-ტკუცის ხმა ღამით ისე მკაფიოდ

მიწის გამოძახილი

გვესმის, თითქოს რაღაცას ამბობენ, ჰყვებიან ზღაპრებს, მერე, რაც დაცვივდება, ისევ ივსებენ ახალი ქერქით. დაავადება არ უჩნდებათ, ძლიერები არიან, მათ ახლოს ნარგავები ჩიავდებიან, ჭადრის ხეების ფესვები ერთ კილომეტრზე განიტოტებიან, ქარისგან ნაქცეული ჭადარი არავის უნახავს, სხვანაირად ამაყები არიან. ბევრჯერ მომავითხეს ხეების საყიდლად, კარგი თანხაც შემომთავაზეს, მაგრამ ამას არასოდეს გავაკეთებ, მიუხედავად პრობლემებისა, ჩემს ჭადრის ხეებს ცულს არასოდეს მივაკარებ, მე მათ სიცოცხლის ფასად დავიცავ...“

გამაოცა მერაბ ოდიშარიას ერთგულებამ ბუნებისადმი, მან კარგად იცის, რომ თუ ბუნებასთან ახლოს ხარ, გიყვარს, არასოდეს გაგიცრუებს იმედს, ესმის მისი ტკივილი და სიხარული, ყოველ ნერგს სათუთად უვლის, თითო გამხმარი, მოჭრილი ხის ნაცვლად აუცილებლად რგავს ახალს, ხილით სავსე აქვთ ეზო, ფეხით, თხილი, ვაშლი, მსხალი... რა აღარ ხარობს. 40-სულამდე პირუტყვს თავად ოჯახის ნევრები უვლიან. ბატონ მერაბს გამრჯე მეულლე, ქალბატონი რუსიკ უდგას გვერდით, ასეთივე მშრომელი და ბუნების ქომაგი შვილები აღზარდეს. 4 ბიჭის ძლიერი მარჯვენა ოჯახისთვის დიდი ძალაა (სამწუხაროდ ერთი შვილი გარდაიცვალა, რაც დიდ ტკივილად დარჩა მათთვის).

„ეს ხევი 180 ცელზე მატს
ითვლიან, ჩვენი ნინაპრების
დარიდრებისა, მათ დარგეს,
დამიტოვეს, უფლება არ მაქვს
არ ვუკატრონ. არ მოვხელო.
არ მოვაფერო.“

„ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, სად არ ვყოფილვარ, ბევრისგან გამიგონია: აქ მხოლოდ სუნთქვა მირჩევნია სხვაგან განცხრომით ცხოვრებას, მეც ასე ვფიქრობ, ჩემი შვილებიც, ამიტომაც ვერ მიდიან საზღვარგარეთ სხვებივით, უყვართ აქაურობა. ჩვენი პატრიარქიც ბრძანებს: „სამშობლო შენი წინაპრების ძვლებით გაპოხიერებული, შენი ენით გაჯერებული ჰაერია, შენიგენით, შენიხასიათით დატვირთული გარემოა“. აქ დავიბადე და გავიზარდე, 5 დედმამიშვილი ვიყავით, მამა ახალგაზრდა გარდაიცვალა, სამხედრო სავალდებულო სამსახურშიც ვიყავი, შანსი მქონდა საზღვარგარეთ დარჩენის, მაგრამ ჩემს მიწას ვერასოდეს დავტოვებდი. გული მწყდება



მერაბ
ოდიშარია

სოფელი რომ ახალგაზრდობისგან იცლება, მაგრამ რა ჰქნან? მათ პირობები ჭირდებათ რომ სოფელში დარჩენენ, მე ჩემს ოთხ ბიჭს მიწას ვერ ვუფორმებ, ისეთ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მინდა სოფელი გაივსოს, გაძლიერდეს.

ხეების გაზრდა ხანგრძლივი პროცესია, ჩვენ ბუნების შვილები ვართ და გვევალება მისი მოფრთხილება, ზამთარში მოსახლეობა შეშით თბება, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ კანონზომიერების დაცვა ხეების მოჭრისას. ტყის გაკაფვამ ეკოლოგიური კვებითი ჯაჭვის რღვევასთან ერთად, ქარსაცავი ზოლების განადგურება გამოიწვია, მთაში ხე აღარაა, ახლა გურიას ვხედავ ჩემი ეზოდან, ადრე, წლების წინ რამდენიმე მეტრის იქით აღარ ჩანდა არაფერი, ისე იყო მცენარეებისაგან ყველაფერი დაფარული. ბუნება ჩანაგდება და თავისთავად კლიმატი იცვლება, რის შედეგსაც ყოველ დღე ვხედავთ, ვიმკით ბუნებაში უხეში ჩარევის შედეგებს. მომავლის იმედს კი არასოდეს ვკარგავ. სანამ ამ ფუძეზე მე და ჩემი შვილები, შვილიშვილები ვიქნებით ამ საოცარ ჭადრის ხეებს არავინ შეეხება... მათი მესმის, მე მათი იმედი მაქვს, მათ კი ჩემი...“.

ბუნების თითოეულ გამოვლინებაში არის რაღაც გასაოცარი (არისტოტელე) — აი, აქაა ბუნების გასაოცარი გამოვლინება, ცას სწვდებიან 16 ჭადრის ტოტები, ზახულში დარბაისლურად, ოდნავი შერხევით რომ გვეგებებიან, ზამთარში კი უდრეკად დგანან და ქედსაც არ იხრიან... მათ უყვართ ერთგული მინდა, ბუნების ერთგული მცველი — მერაბ ოდიშარია, ადამიანი, რომლის ფასიც უნდა ვიცოდეთ, რომელიც პატივისცემას, ყურადღებას იმსახურებს.

ვერიპო ჯიპლაცე

„ვამინერს, რაცონერო, საქართველოს დამჩა!“

60ლარ ჭილანავა

არიან ადამიანები, რომელთა მიწიერი სიცოცხლეც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვასა და ფიქრში ჩაივლის. ისინი ამისთვის მოვლინებულან სამყაროს. მაგრამ, უფლის განგებით, იბადებიან ისეთი კაცებიც, რომელთაც მთელი სიცოცხლე ერთგული ხარებივით მამულის უდელში უწევთ შრომა, სამშობლოს სცენაზე ბერდებიან. მათს ღვაწლს ხან ხედავენ და ხანაც ვერა, სამწუხაროდ, შემფასებლებიც ცდებიან ხშირად. ბედნიერება კი ისაა, რომ ისინი მამულის კაცებად იბადებიან, მისი წიაღისოთვის მსახურობენ, თაობებს გზას უკვალავენ. მათი ნააზრევი, ფიქრი, არსი, განცდა, ღირსება, სიყვარული მოქცეულია ყველაზე დიდ კიდობანში, ერის სულის ნიუარაში და ერის მარადიულობას ერთვის.

ისიც მამულის კაცია, დიდი საქმეების მკეთებელი კაცი. მისი ფესვი სამეგრელოშია, მისი „ოდაბადე“, ადგილის დედა კოლხეთია. მის სულში დღემდე შეყუულია იქ გატარებულ დღეთა სითბოც და ცრემლიც, ტკივილიც და ღიმილიც. რვა ათეული წელი ჩამოემარცვლა უკვე... ნოდარ ჭითანავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

„ვაშინერს, ბატონებო, საქართველოს დაშლა!“ — ეს მისი ერთ-ერთი წიგნია. დამერწმუნებით, სათაურიც ორიგინალურია. მას უფრო მემუარულ უანრს მივაკუთვნებთ. იქ გაეცნობით ავტორის რთულ და წინააღმდეგობებით განვლილ გზას. ესაა წიგნი, რომელსაც ემოციის გარეშე ვერ წაიკითხავთ, ბევრჯერ შეიძლება ცრემლიც ჩაგიგუბდეთ

თვალებში. ოდაბადეს მინდა ისევ დავუბრუნდე. აი, მისი ავტორისეული შეფასებაც: „ოდაბადე“ ჩვენეული გაგებით მოწინებითი ავტორიტეტია ადამიანისთვის - მისგან ხელოვნურად მოწყვეტის მცდელობაც ბუნებისა და საზოგადოებისგან დაუსჯელი არ რჩება. არც ის არის შემთხვევითი, როცა ადამიანებში ცხოვრების რიტმით აფორიაქებული აზრების ჭიდილში უფრო მეტად ამოტივტივდება „ოდაბადესთან“ დაკავშირებული მოგონებები. არც ის უნდა გაგიკვირდეს, რომ ადამიანები სიცოცხლესთან განშორების უამს გულწრფელად ისურვებენ „ოდაბადეში“ ჰპოვონ მარადიული სასუფეველი“. ბატონი ნოდარისთვის „ოდაბადე“ ისწმინდა ადგილია, საიდანაც სამშობლო იწყება, ამავე დროს ის „საკუთარი ცხოვრების ამოსავალი საწყისიცაა“.

ბატონ ნოდარ ჭითანავას ადგილის დედა ზუგდიდის რაიონის სოფელი ჭკადუაშია. იქაა მისი ბავშვობის ნაფეხურები, მშობლიური სურნელი, მეგრული „ნანას“ იდილია, დღესაც იქ გრძნობს მხოლოდ დედის თბილი ხელის ალერს. ცრემლის გემოც ერია ბავშვობას, 31 წლის დედა სამუდამოდ მიეჯაჭვა ლოგინს, უფრო მეტი სიმწარე კი 8 წლის დის გარდაცვალებამ დაუტოვა. თითქოს გამუქდა ყველაფერი, დღესაც უმძიმს გახსენება. „პირველად მაშინ ვიგრძენი გულწრფელი ცრემლის ძალა“. ასეთმა სევდაგაყოლილმა დაამთავრა ვერცხლის მედალზე წალენჯიხის საშუალო სკოლა. შემდეგ დედაქალაქი, სტუდენტობა, პარალელურად მუშაობა.

„ოდაბადემ“, ადგილის დედამ, გამოაყოლა ყველა კეთილი თვისება, პირველ ყოვლისა, პასუხისმგებლობა, ქვეყნის სასიკეთო აზროვნება, ცოდნის დაგროვება და რაც ყველაზე მთავარია, მას უნდა ევლო მართალი კაცის სახელით. გამარჯვებებიც ნაბიჯ-ნაბიჯ მოდიოდა, რა თქმა უნდა, დიდი შრომის ფასად. ყოველთვის კრიტიკული იყო საკუთარი თავისადმი.

1966 წელს ჩაირიცხა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც შემდგომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიად გარდაიქმნა. 1968 წელს ნარჩინებით ამთავრებს აღნიშნულ სასწავლებელს, პოლიტიკური ეკონომიკისა და ფილოსოფიის განხრით. საკანდიდატო მინიმუმიც იქ ჩააბარა, დისერტაცია კი თბილისში დაიცვა.

სახელმწიფო ერთ-ერთი გამოსვლისას გატონეა ცოდარეა თავისი სიტყვა ასე ძალას რეა: ..კოლეგა ერთი უძლიერესი სიტყვა გვაქვს - ..ვაჟინერს.. ვაჟინერს. გატონებო, საქართველოს დაულა. დაერთი ამას არ გვაკატივს..

სხვადასხვა წლებში ბატონ ნოდარ ჭითანავას უწევს პარტიულ სამუშაოებზე ყოფნა. ის იყო პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარი. ამ ხნის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს ასსზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ათეულობით მონოგრაფია.

ბატონი ნოდარი ხდება ქართველი ერის დიდი ხნის ოცნების - თავისუფლების მოპოვების მოწმე და მომსწრე. ღრმად აქვს გააზრებული ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესები. მოულოდნელად უხდება იერარქიის უმაღლესი საფეხურიდან ნამოსვლა: „ცხოვრების ლოგიკის ერთი განსაკუთრებული ნიუანსი ახალგაზრდულ ასაკში კარგად აღვიქვი. როცა სამსახურებრივად იერარქიის კიბეზე ასვლას ინყებ, უნდა შეგეძლოს თავი იმაში დაარწმუნო, რომ საბოლოოდ ჩამოსვლის დროც დადგება. 1990 წლის 14 ნოემბერს

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან წავედი. მაშინ 54 წლის ვიყავი. საკმაოდ უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილებით. ყველა რგოლი პირველი საფეხურიდან ბოლომდე წაბორძიკებების გარეშე გავიარე, რაც მაშინ იშვიათად ხდებოდა“.

ახალი საქართველოს მშენებლობას ასეთი გამოცდილების და განათლების მქონე პიროვნება მავანთა აზრით, ჯერ-ჯერობით არ სჭირდებოდა. ბატონ ნოდარს გადაწყვეტილება უნდა მიეღო. იგი ღირსეულად ტოვებს თანამდებობას. ახლა სადაა მისი ადგილი, სად უნდა იღვანოს. სულში კვლავ იგრძნო ძახილი თავისი „ოდაბადისა“, თავის შვილს უხმობდა ადგილის დედა: 1990 წლის 17 ნოემბერს ბატონი ნოდარი წავიდა თავის მამასთან, სოფელ ჭკადუაში. „მინასთან ახლოს ყოფნა მაშინ, როცა შინაგანად დამშვიდებაა საჭირო, ყველაზე კარგი თერაპიული ფაქტორია ადამიანისათვის. ალბათ, უკეთესი „განმკურნავი“ საშუალება ბუნებაში არც არის. საბოლოოდ ემოციები მოვთოვე. ჩემი ადგილი მშვიდად განვსაზღვრე ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ ახალ სქემაში. ჩავთვალე, რომ იერარქიული კიბის უმაღლესი საფეხურიდან ძირს მშვიდობიანად დაშვება განხორციელდა. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე წარმატებული შედეგი ეს იყო. ამჯერად მთელი არსებით გადავერთე მეცნიერებაში“.

მშობლიური მიწის სურნელმა სულ სხვა ენერგია მისცა, იწყებს ეზო-კარმიდამოს მოვლას და სულ მალე ახალ იერსახეს იღებს თავისი ბავშვობის სანახები. „ოდაბადესთან“ შეხვედრა წარმატებით შედგა, მთელი არსებით იგრძნო ის ხიბლი და მადლი, რომელიც მხოლოდ მის ფეხსვებს ჰქონდა.

გადის არცოუ ისე დიდი პერიოდი და ეროვნული ხელისუფლება ისევ უხმობს თბილისიდან წასულ საქმის კაცს. სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტს სთავაზობენ. იწყება შრომა ახალი ქვეყნის აღმშენებლობისთვის. თუმცა მოკლე ხანში რადიკალურად იცვლება ქვეყნის განვითარების ვექტორი და ისევ დგება სტაგნაციის პერიოდი. ყოველგვარ პროფესიონალიზმსა და სათანადო გამოცდილებას მოკლებული მასა ცარიელი ენთუზიაზმით ცდილობს ახალი, სრულიად უცნობი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დამკვიდრებას. თუმცა ყოველივე ეს მოკლებულია მეცნიერულად გააზრებულ სიღრმეებსა და წარსულის პირუთვნელ შეფასებას. ბატონ ნოდარს ეს სათანადო აქვს გააზრებული და არაერთი შემოთავაზებისა, სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობაზე უარს ამბობს. მან დიდი ენთუზიაზმითა

და რწმენით თავისი „მაღალი ნიჭი, ცოდნის თანამედროვე ჩარხზე გალესილი ჭურა“ ერისა და ქვეყნის სამომავლო ვექტორის განსაზღვრის თეორიული მიმართულებების შექმნის კენ მიმართა. აქ სრულიად სხვაგვარად წარმოჩნდა „კავკასიური გონის“ სიდიადე - ახალ დროებასთან ადაპტირების

ქართული სიტყვისარების სალაროში არსებობს ერთი დიდი და ლამაზი სიტყვა. რომელსაც თავისი სითბო და ესძლი აქვს - გადლობა!

განსაკუთრებული უნარი, მსოფლიო მეცნიერული მიღწევების ახალ რეალობასთან მორგების სისტემური შესწავლა და მისი შედეგების ეროვნულ ეკონომიკურ ცხოვრებაზე სწორად მისადაგების სრულიად ახალი მიმართულებების განსაზღვრა. ბატონი ნოდარის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და მეცნიერული სტატიები ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური ორიენტირები, რომლებიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მომავლის პირუთვნელ გზის გამკვალავად.

საქართველოში მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებაში ღირსეული ადგილი უჭირავს ბატონ ნოდარ ჭითანავას, როგორც ჭეშმარიტ სწავლულსა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მეცნიერსა და მოღვაწეს. ეს თვისებები მას ანიჭებს უნარს გაიხედოს მომავლისკენ, მომავალ თაობებს ჩაუნერგოს იმედის გრძნობა და შთაგონოს ისინი - „იყვავით ჩვენზე ძლიერი, ჯანმრთელი, მართალი. მუდამ და ყველგან ერთგულად ემსახურეთ სამშობლოს“. ეს რწმენა თვით მისი ცხოვრებისეული წესიდან მოდის და მისი ცნობიერების ბალავრის ქვაა.

ერის დიდი მამა ილია ჭავჭავაძე, ადამიანს კაცობის მისეული კრიტერიუმებით აფასებდა. ეს სრულად ესადაგება ბატონ ნოდარის ფერმენს, იგი ოჯახის, გვარის, თემის, ერის და ზოგად კაცია. კაცობის ასეთი „ბედნიერი მორიგება“ ღვთის რჩეულთა ხვედრია და იმ „კავკასიური გონის“ შედეგია, რომლის ღრმა ფესვები ქართულ მინაშია ჩაბუდებული.

ადამიანური ურთიერთობა, ფუფუნების უმაღლეს მნვერვალად შეიძლება ჩაითვალოს. მასთან ყოველთვის აკადემიურობა და იმედია,

ცხოვრების კრედო - წარსულისადმი, როგორც მომავლის მკვიდრი საძირკვლისადმი პატივის მიგებაა, აწმყოს რეალურ შტრიხებში აღქმა და ხვალინდელი დღის ოპტიმიზმით გაჯერებული ღვთიური რწმენაა. ეს სამება ერთად კრავს დროსა და სივრცეში მისი როგორც ადამიანის ისტორიულ როლსა და დანიშნულებას ქვეყნის წინაშე. ბატონი ნოდარის „დროების ქერქში ჩაჯდომა“ და მისი ობიექტური შეფასებების განსაკუთრებული უნარი მომავლის უტყუარი განჭვრეტის საფუძველს იძლევა. ვფიქრობთ, მომავალი თაობებისთვის „გზის გამკვალავის“ ფუნქციას შეასრულებს ბატონ ნოდარის გონების ნაკარნახევი ფორმულა - „მაღალი ნიჭი, ცოდნის თანამედროვე ჩარხზე გალესილი ჭურა, ქვეყნის წინაშე უზენაესი პასუხისმგებლობა, ჩაკირულ-ჩადულაბებული ქართული პატიოსნების ბალავარში - ის პირობა-ფაქტორია, რომელიც 21-ე საუკუნეში საქართველოს აღმავლობის დიდ გზაზე გაიყვანს“. ეს არის ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფალის სულიერი სიმაღლის უცილობელი დასტური, ქვეყნის ერთიანობისა და მისი გაპრენიშების ოპტიმიზმით სავსე გზავნილი დიდი მამულიშვილისა.

სამეცნიეროში ერთ-ერთი გამოსვლისას ბატონმა ნოდარმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „კოლხებს ერთი უძლიერესი სიტყვა გვაქვს - „ვაშინერს“. ვაშინერს, ბატონებო, საქართველოს დაშლა. ღმერთი ამას არ გვაპატიებს“.

ამ შეგონებით 1992 წელს დაგვმოძლვრა ბატონმა ნოდარ ჭითანავამ, თითქოს მისი გული წინასწარმეტყველებდა ქვეყნის დიდ ტრაგედიას, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დროებით ჩამოშორებას დედასამშობლოსთან. ერთიანობა ყველაზე დიდი ღუღაბია ერის წინსვლისთვის, გამარჯვებისთვის, ამისთვის უნდავიბრძოლოთ, ეს უნდა შთავუნერგოთ მომავალ თაობებს.

ბატონო ნოდარ, ქართული სიტყვიერების სალაროში არსებობს ერთი დიდი და ლამაზი სიტყვა, რომელსაც თავისი სითბო და ხიბლი აქვს - მადლობა! ბუნებრივია, ის ვერ დაიტევს იმ ემოციას, რომლის ღირსიც თქვენი პიროვნება ბრძანდება, მაგრამ გეფერებით და გეუბნებით მაღლობას იმ განვლილი ცხოვრებისეული ბილიკებისთვის, რომელიც ასეთი სიმართლით, ღირსებით, შრომით, რუდუნებით, ერისკაცობით გაიარეთ. დაგლოცოთ უფალმა, მოგცეთ სიჯანსაღე და ჟამთა სიმრავლე.

მურმან კვარაცხელია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი



სიტყვის ზემოა ჰუსთაველის თეატრი

რუსთაველის თეატრში ცოტა ხნის წინ საუკუნის უდიდესმა პოეტმა, რეზო ამაშუკელმა მკითხველს უმასპინძლა. ორიგინალურად გაფორმებულმა სცენამ და პოეტის სულში ჩამწვდომმა ხმამ მაყურებელს გული განუგმირა, ძარღვებში სისხლი აუჩქროლა და ერთხელ კიდევ ხმამაღლა ათქმევინა, რომ ქართული გენი ძლიერია, ჩვენი ერისა და ტრადიციის წაბილწვა აგრერიგად არავის ეპატიტება. რაც მისმა გარითმულმა პოლიტიკური მრწამსით აღსავსე ფრაზებმა არაერთხელ დაამტკიცა.

80 წლის ჭარმაგი ბატონი განსაკუთრებული ხმის ტემბრითა და თხრობის მისეული მანერით გულდიად ესაუბრებოდა მკითხველს. პოეტმა სცენას მოჰყვინა თავის სულის მონაწური ლექსთა წყება, მისი გულის

ძახილით გაუღენთილი სტრიქონები და ღმერთს ერის გადარჩენას ევედრებოდა.

პოეტმა მეგობრებს, ახლობლებს და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთ რუსთაველის თეატრში მობრძანება სთხოვა, მოსაწვევები დარიგა, სადაც ადგილი მითითებული არ იყო, ისეთივე თავისუფალი არჩევანი მისცა მკითხველს, როგორი უსაზღვრებოც არის მისი სიტყვის სიგრძე და განი. ბატონ გივი სიხარულიძეს დაურეკა, მისთვის ჩვეული სიტყვებით შეამკო უმცროსი მეგობარი და მოსაწვევთან ერთად ახლად დაბეჭდილი ლექსების კრებული უსახსოვრა წარწერით: „*ვისაც გივი სიხარულიძის მოთხოვნები არ ცალკეოთხავს. იმან გივი სიხარულიძე არ იყინ. — მე ვის!*“


რეზო ამაშუკელი


სალამო ემოციების ფონზე მიმდინარეობდა. 90 წუთის განმავლობაში შეუჩერებლივ კითხულობდა პოეტი ლექსებს და დარბაზი თავის ლექსის ტყვეობაში მოაქცია.

აფერუმ, ბატონი რეზო, თქვენს მართალ სიტყვას, თქვენს ხმას მჭექარეს და აზრს ალმასისებრს.

კვლავაც მრავალი შედევრი შეგექმნათ, წინ კიდევ დიდი გზა გელით! მრავალუამიერ!

ნინო რახვაძევილი





პირველად იყო სიტყვა... სიტყვა, რომელმაც სამყაროს ულერადობა შესძინა. უესტიკულაცია სიმფონიად აქცია და მძივებად აკინძული ხმოვანი ბგერებით მიმოფინა სამყაროს. 17 მაისს ბათუმის საოპერო სცენაზე სიტყვისა და ქორეოგრაფიის ზემოთ გაიმართა. თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე კალმოსნის გივი სიხარულიძის რიგით 22-ე წიგნი საჯაროდ განიხილა მკითხველმა, რომელიც მწერალმა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის გამორჩეულ ვარსკვლავოსან თემურ ბიბილეიშვილს და ანსამბლ „ხორუმს“ მიუძღვნა.

წიგნი ლამაზად აკინძული ნოველების კრებულია, რომელიც ქორეოგრაფის, თემურ ბიბილეიშვილის ცხოვრებისეულ დეტალებზეა აგებული.

ვინ არის თემურ ბიბილეიშვილი და რატომ გადაწყვიტა მწერალმა მასზე წიგნი დაეწერა.

მამ, ასე! ქართული ფოლკლორული ცეკვის უკვდავსაყოფად არის შექმნილი ბატონი თემურ ბიბილეიშვილის პიროვნება, მისი შემოქმედება ეროვნული საგანძურის ხელოუქმნელი ნიმუშია, „ქორეოგრაფია ჩემი ცხოვრების აზრია“ - ამბობს მაესტრო. ასეა სწორედ, მან თავის პიროვნება ცეკვის ფენომენს უძღვნა, შექმნა ცეკვის სააღმზრდელო-დიდაქტიკური სტუდია, ახალგაზრდების საწვრთნელი კერა, სადაც ქართული, მგზნებარე, პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი თაობა იზრდება.

უკიდეგანოა მისი შემოქმედებითი არეალი. „ხორუმმა“ მთელ მსოფლიოს გააცნო ქართული კულტურა, ისტორია და ეთნოგრაფია.



წიგნი, რომელიც ხელთ გიპყრიათ, სწორედ ბათუმის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელისა და მთავარი ბალეტმეისტერის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს.

წიგნის შექმნის იდეა კი თავად მწერალს, გივი სიხარულიძეს ეკუთვნის. იხილა რა ბატონმა გივიმ ბათუმის სახელმწიფო თეატრში ანსამბლ „ხორუმის“ მიერ გამართული საანგარიშო კონცერტი, აღფრთოვანება ვერ დაფარა, კონცერტის დასასრულს სცენაზე ავიდა, ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ თემურ ბიბილეიშვილს მადლობა გადაუხადა და მისი თოთხმეტწლიანი შემოქმედების ერთ წიგნად თავმოყრა და გამოცემა შესთავაზა. აი, ასე მივიღეთ ნოველების ულამაზესი კრებული, მცირე ეპიკური ჟანრის პროზაული ნაწა-


წიგნის განხილვა

რმოებები, რომელიც ასახავს ერთი ადამიანის - თემურ ბიბილეიშვილის ცხოვრების ეპიზოდებს, გარკვეულ დროსა და ასპექტში. თითოეული ნოველა ხასიათდება მარტივი სიუჟეტით, პერსონაჟთა სიმცირით, სადაც ძალზედ შეუმშულადაა ნაჩვენები ყოფითი დეტალები. გარემო, ხასიათის ფორმირების პროცესი. მწერალი ნაკლებად იყენებს აღნერით მომენტებს. აქცენტი გადატანილია მოვლენების რომელიმე ერთი მხარის, ბატონი თემურისა და ანსამბლ „ხორუმის“ შემოქმედების წარმოჩნებაზე, რაც განაპირობებს თხრობის ლაკონიზმს და მოქმედების ექსპრესიას. თითოეული ნოველა კომპოზიციურად იმდენად კარგად არის შეკრული, რომ კვანძის შეკვრა და გახსნა სწრაფად ხდება. ფინალი, ხშირად მოულოდნელი შედეგით ხასიათდება, რაც მკითხველის განსაკუთრებულ ემოციას იწვევს.

წიგნში გადმოცემულია თემურ ბიბილეიშვილის ქორეოგრაფიული გაკვეთილების ოქროს შუალედი, რაც ერთგვარი სახელმძღვანელოა დამწყებ ქორეოგრაფთათვის. აქვე იხილავთ კონცერტების ფოტოგალერეას, გაეცნობით ანსამბლის მეგობრებს, სტუმრებს და წარმატებებს.

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა „ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობაში“, რედაქტირებაც თქვენს მონა-მორჩილს, ნინო რეხვიაშვილს ეკუთვნის.

წარმატებას ვუსურვებთ ავტორს, ბატონ გივი სიხარულიძეს, რომელსაც პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა ახალ უანრის — „ქალაქური ნოველების“ ნოვატორად აღიარა. მან შექმნა პრეცენდენტი თანამედოვე ქართულ პროზაში — პიროვნებების



„ქართული ცეკვის
დილო მაესტრო,
შენს დაბადებას
ალბათ ოლიმპზე
ომერთი დაესწრო“.
გივი სიხარულიძე

ბიოგრაფიული შტრიხები ნოველებად შეთხზა და მკითხველის სამსჯავროზე გამოფინა.

მსოფლიო მნიშვნელობის ბარიტონის, ლადო ათანელის შემდეგ, როგორც ვნახეთ მისი კალმის ტყვეობაში ქორეოგრაფი თემურ ბიბილეიშვილი მოექცა. მრავალი შედევრი გაქვთ შესაქმნელი, ბატონო გივი, აფერუმ თქვენს კალამს, მრავალუამიერ!

წიგნის განხილვის შემდეგ გაიმართა ანსამბლ „ხორუმის“ საზეიმო კონცერტი.

ნინო რეხვიაშვილი



გივი სიხარულიძის წოვალები ნიგილა „დიდება შეს საქმეს, თავზე!“

მონაცემი თავზე

ცეკვა თემურის ცხოვრებაა, ნადირობა კი პოპი, ჰიპი ნარსულის—დღეს მის არსში გაცოცხლებული, არსი კი შემოქმედებაა, მუზაა უშრეტიდა ბობოქარი, რომელიც კიდით კიდემდე სწვდება სამყაროს.

სწორედ რომ მონაცემის თვალით სჭრეტს თავის თითოეულ ილეთს, მიხვრა-მოხვრას და მანერას. თემური ხშირად მდგარა გემბანზე გარინდული, ფრინველთა ფრენას დაჲკვირვებია და მათი მოძრაობები თავის ოქროს შემოქმედებაში დაუნერგავს. ამიტომ არის, რომ მაყურებელი მის მოცეკვავე ვაჟებში ხან არწივისებრ შემართებას ხედავს, ხან მათ სასწაულებრივ მოძრაობებს მიმინოს და ქორის ზეციურ ფრენად აღიქვამს, გოგონების ნაზი და დახვენილი ნარნარი კი ტბაზე ყელმოლერებული გედების სრიალს წააგავს. ხან ალაზნის ჭალებიდან აფრენილ დედალი ხოხების ამოფრთხიალებას შეიგრძნობ, ხან ზღვის დესპანის, თოლიების ფრენა დაგიდგება თვალწინ, რომლებიც თითქოს და თავის სევდიან ფიქრებს ნაპირისკენ მიაქროლებენ.

— ეს ყველაფერი ერთად კი თემურ ბიბილეი-შეილის სამყაროა, უშრეტი წყარო შემოქმედებისა, საიდანაც უამრავი ბავშვის წვრთნა და დაფრთხიანება ხდება. წყარო, რომლის ჩუხჩუხის ხმა შორს, მთელ მსოფლიოში ისმის და მისი მჩქეფარე მუზის არ იყოს, დაშრობა არასდროს უწერია.

როჭო

ერთხელ თემური სანადიროდ წავიდა. მაღლა, კლდოვან ადგილებში მოუნია ასვლა. შემოაღამდა. ხედავს როჭო მოფრინავს. როჭო, რომელიც დღისა და ღამის გასაყარზე ეშვება ბარად და ეს დაშვება იმდენად ძლიერია, თვითმფრინავით ჩაგიქროლებს თვალწინ და ისეთ ხმას გამოსცემს, გეგონება სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებულ მუსიკას ისმენო. შემოქმედი კი რის შემოქმედია, რომ ეს სასწაულებრივი მოვლენა ყურადღების მიღმა დაეტოვებინა. ასე ჰპოვა ასახვა ცეკვის დიდი მაესტროს შემოქმედებაში როჭოს ფენომენმა. თემურის მეხსიერებაში ღრმად აბეჭდილი როჭოსეული მუსიკა მისი ნახაზიდან გამომდინარე რეპერტუარის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად იქცა. უძლიერესი ვაჟების ცეკვას როჭოს შლევი მოძრაობა ადგას გვირგვინად, ხოლო მისი ფრთხის მოძრაობით გამოწვეული ხმათა სიმფონია კი მაყურებლის შთაგონების წყაროდ იქცა,

რაც იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი ხელოვანის ნიჭი მრავალწახნაგოვანია. თემური გარდა ქორეოგრაფიისა, მახვილი სმენითაც გამოირჩევა და ბუნების სასწაულებრივ მოვლენებს თავის შემოქმედებაში ანვითარებს.

ლილი — შემოქმედების მუზა

საყველთაოდაა ცნობილი, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ესპანელი მხატვრის საღვადორ დალის მუზა რუსული წარმოშობის ქალბატონი გალა გახლდათ, რომლის სიყვარულშიც მხატვარი სიცოცხლის ბოლომდე იწვიდა, გალა მისთვის უკვდავება იყო. ყოველი დიდი ხელოვნება მუზების გარეშე წარმოუდგენელია. თემურ ბიბილეიშვილის მუზა, ქალბატონი ლილი, გალასგან განსხვავებით მხოლოდ მისი შემოქმედების მუზაა და სხვა არაფერი. მუზა, რომელიც თემურს შემოქმედებით საწყისებზე გამოუგზავნა უფალმა და ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა მასთან ერთად გაიზიარა. როგორც ბატონმა თემურმა მიამბო, საქართველოს ძნელბედობის უამს, როცა ქვეყნად უდენობა, უწყლობა და შიმშილი მძვინვარებდა, ქალბატონი ლილი თავის შემართებითა და ენერგიულობით ჯარასავით დატრიალებდა გაყინულ სარეპეტიო დარბაზში და მოცეკვავებს შრომის წყურვილით აღანთებდა, მისი ქმედება ამოფრქეულ ვულკანს ჰგავდა, სადაც ძალას, ენერგიას და საქმის სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგება. ლილის წყალობით დარბაზი ყოველი კუთხით სანთლებით ნათდებოდა, თავად კი, ორი სანთლით ხელში იდგა დარბაზის შუაგულში და კელაპტარიკით იწვიდა მისი სული და შემართება.

ერთხელაც საქმით გართულს სანთლები ხელში ისე ჩაუდნა, რომ ვერაფერი გაიგო. ბატონმა თემურმა დამწვარი ხორცის სუნი იგრძნო, მივარდა, იქვე წყლით სავსე დოქს დასწვდა და ხელებზე გადაასხა. კანმა შიშხინი დაიწყო. მაშინ კი, ლილის ქალურმა სისუსტემ სძლია და გული წაუვიდა.

როგორც თემური ამბობს, ლილი საქმისთვის თავდადებული ადამიანია. თუ საქმეს სჭირდება, ასე უნდა იყოს და მორჩა! იმას აუცილებლად შეძლებს. მისთვის ნებსით თუ უნიბლიერ ნებისმიერი ჩინოვინიკის კარი ღიაა, ის ყველა გზას მიმართავს მიზნის მისაღწევად. დასჭირდება? — ფანჯრიდან შევა, ფანჯარას ჩაუკეტავენ? — ჭერიდან თოკით ჩავა და საქმეს მაინც გააკეთებს.

ლილი სწორედ, რომ თემურ ბიბილეიშვილის შემოქმედების ღერძია, მუზაა, მისი სიძლიერეა.

ჩოგანი- ცარისობანები სამარხელოში

ნუზუ
კუპანაძე



სამეგრელოში ბავშვი დაიბადებოდა თუ არა „ბებია ქალი“ მას ხელს შემოკრავდა ლოყაზე, გამოაცოცხლებდა თუ ახალშობილი ვერ სუნთქვადა, ფეხებით თავდალმა დაიკავებდა, კიდურებზე მიარტყამდა, სახეზე კი ცივ წყალს ასხურებდა, შემდეგ იგი ბავშვსა და დედას ორივეს გაასუფთავებდა.

ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მისი დაბადებისთანავე იწყებოდა. „ბებია ქალი“ ბავშვს ნელთბილ წყალში დაბანდა, ვაჟი თუ იყო, ცოტა ღვინოს ჩაუმატებდა — ღვინის ამტანი დადგებაო, გოგონას ვარდისფერ ფერ-უმარულს უსვამდნენ — ლამაზი გამოვაო; ერთი თვის განმავლობაში ნაბან წყალს სახლში ღვრიდნენ ახლო-მახლოს ან საწოლის ქვეშ — ავი სული რომ არ დაპატრონებოდა მას. ბავშვის ტანსაცმლის ნარეცხ წყალსაც ერთი თვის მანძილზე გარეთ არ გადაღვრიდნენ, ამბობდნენ: ღამე ცამ არ უნდა დახედოს.

სამეგრელოში ბავშვი დაბადებიდან რამდენიმე სწის გასვლის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ ვის როდის ექნებოდა ამის შესაძლებლობა, იმართებოდა „ხვამა“, ეს იყო იგივე „ფუძეში ხვამა“ (ფუძის დალოცვა). ამ დღეს ბავშვს ნერჩს, სახლის ფუძის მფარველს შეავედრებდნენ. ეს ლოცვა შეიძლება გადახსადათ ბავშვის დაბადებიდან ერთი ან ორი თვის შემდეგ ან უფრო ადრეც. ხშირად კი იხდიდნენ „ლოგინობის პერიოდის“ გასვლის შემდეგ, ხალხში ასეთი რწმენა იყო: „ბავშვის დალოცვას“ თუ არ გადაიხდიდნენ, იგი კარგად ვერ გაიზრდებოდა; ასეთი გამოთქმაც იყო: „სი ხვამელი ვარექია ხათე კემირთუქეი“ (შენ რა, დალოცვილი არა ხარ, რომ ძირს ვარდებიო?). „ბავშვის დალოცვის“ გადახდა მარხვის დღეებში, აგრეთვე ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს არ შეიძლებოდა. დალოცვისას აუცილებლად

მოიწვევდნენ დედფანიას და ყველა იმ ქალებს, რომლებიც მშობიარობას ესწრებოდნენ. როდესაც დააპირებდნენ „ბავშვის დალოცვის“ გადახდას, ამის შემდეგ წინა დღით გააგებინებდნენ დედფანიას, მას იმ დღეს საჭმელი უნდა ეჭამა, ბავშვის, ე.ი. ფუძის დალოცვამდე. ჩვეულებრივ, დედფანია აჩქარებდა ლოცვის გადახდას. ვინაიდან მანამდე მას ხელი „გაწმენდილი“ არ ჰქონდა და ამიტომ თვითონ ვერც სანთელს ჩამოქნიდა და ვერც საკურთხს გააკეთებდა. თუ მაგალითად, ოჯახს არ ჰქონდა შეძლება და „ფუძის ლოცვის“ გადახდა არ შეეძლო, ე.ი. ვერ დაილოცებოდა, მაშინ დედფანია პურის მარცვლებს თვითონ წაიღებდა მელოგინესთან და ეტყოდა: „ხელი გამითავისუფლეო“. იგი პურის მარცვალს ლოცვით ამოუტარებდა ხელის მტევნებში მელოგინეს, რის შემდეგაც დედფანია ითვლებოდა განნებნდილად.

ლოცვის დღისათვის კლავდნენ ქათამს, გოჭს, ან თიკანს. გოჭის დაკვლა სავალდებულო იყო, იმიტომ, რომ გოჭის თავი დედფანიასათვის უნდა მიერთმიათ. ამასთანავე, გამოაცხობდნენ ხუთ კვერს, რომელშიც ჩადებული იყო საკლავის შიგნეული. დედფანიას ახვედრებდნენ ორ სანთელს, რომელსაც ვინმე მოხუც ქალს ჩამოაქნევინებდნენ და პურის მარცვლებს. იგი ნაკურთხი წყლით დაიბანდა ხელს, დაჯდებოდა პატარა სკამზე, დაიდგამდა აკვანს გვერდით და დედას დააჩოქებდა ჩალაზე. მას ერთმანეთზე მიტყუპებულ ხელის მტევნებში ამოუტანდა პურის მარცვალს და კვერებს. კვერები დედას უნდა შეეჭამა, ხოლო პურის მარცვლები რჩებოდა ოჯახში. ამ დღეს ბავშვს გააძრობდნენ ძველ გასახვევებს, დაბანდნენ და თეთრ მიტკალში გაახვევდნენ, თან ეტყოდნენ: „თეთრად ყოფილიყოს შენი საქმეო“. ამის შემდეგ დედფანია აანთებდა სანთელს, ანთებულ სანთელს

ეთნოგრაფია

ბავშვის დედასა და აკვანს მარჯვნიდან მარცხნივ შემოვლებდა და დაილოცებოდა: „მორდეედა ჯგირი ბოში მომორდაქ, ონჯღლორე ვაიჭკომუდას“. სასახელო მორდეედაქ ირკოჩი ჯგირი ქოჩუნდას“. (გაიზარდე კარგი ბიჭი, ან გოგო ყოფილიყავი, სირცხვილი არ გეჭამოს, სასახელო გაზრდილიყავი და ყველა კარგად გყოლოდეს); ან „ჩემი ხეში მუნაათხუმას უფენბუდას, ათიას ქოფედას“ (ჩემი ხელის მოკიდებული გამრავლებულიყოს, ათასი გამხდარიყოს), ან კიდევ: „ფუძე ნერჩი, ბედნიერი ქოფუდას, ძუძუ კიდირი ბედნიერი ქოფედას, ბალანა ომირდუალე, მუთენი კიდი დო მიზეზი ვემეჩამუდას, ხოლო მორდოლედას, ჯანმრთელობა ქიმე უნაფუდას“ (ფუძე ბედნიერი იყოს, ძუძუმერდი ბედნიერი ჰქონდეს, ბავშვი ღმერთმა გაგიზარდოს, არაფერი ნაკლი და მიზეზი არ მიცემოდეს, გაზრდილიყოს, ჯანმრთელობა ჰქონდეს). ბავშვის დალოცვას ვაჟსაც უხდიდნენ და ქალსაც. დალოცვის დღეს ძირითადი პირი იყო დედფანია, თამადაც კი ის იყო და მასთან ერთად ყველა ის ქალი, ვინც მშობიარობას ესწრებოდა.

„ბავშვის დალოცვა“ გამიზნული იყო იმისთვის, რომ ბავშვი ჯანმრთელი და დღეგრძელი გაზრდილიყო. ესახელებინა მშობლები და თავისი ქვეყანა და თითქოს დალოცვით უნერგავდნენ ყოველივე ამას მისი ცხოვრების პირველი დღეებიდანვე.

მეცნიერთაგან მრავალი შეხებია ბედის და ბედისწერის საკითხს, როგორც ა. ცანავა აღნიშნავს: „ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანისათვის არსებობს ბედი, ცხოვრებას არეგულირებს ბედისწერა, რომელიც მას დაბადებისთანავე დაეწერება. ასეთივე შეხედულება დასტურდება მსოფლიო ხალხთა მითოლოგიურ გადმოცემებში.“

იმის ნათესაყოფად, რომ ქართული რწმენა-ნარმოდგენა მსგავსია მსოფლიო ხალხთა რწმენა-ნარმოდგენისა, შეგვიძლია დავასახელოთ ზღაპარი „მძინარე მზეთუნახავი“ 14 წლის ასაკში ხელში თითისტარი შეერჭოს მეფის ასულს და მოკვდეს“ ფერიებმა სიკვდილი დაძინებით შეუცვალეს, მაგრამ მთლიანად ვერ ააცდინეს ბედისწერა...“

მსგავსი სიუჟეტები ყველა ერის ზღაპრებშია გავრცელებულიდაქართული ზღაპრებიც მდიდარია ამ მხრივ. ხალხური ბედის „ნერა-მწერალთა“ რწმენა ზოგადი მითოლოგიური ცნობიერების ერთი ნაწილია.

ბედის „ნერა-მწერალთა“ ფუნქცია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და ხალხურ ყოფაში (ეთნოლოგიური მასალის საფუძველზე) უახლოვდება ბატონების ფუნქციას და ახალშობილის

საძეობო რიტუალებსა და სადიდებელ ტექსტებში, წეს-ჩვეულებებსა და ფერხულებში, სააკვნო სიმღერებში დასტურდება მათდამი „მოფონების“, ანუ გულის მოგებისა და მოფერების სურვილი, ამ თვალთაზრისით საგულისხმოა ლექსიკური მარაგი, ეტიმოლოგიური წიაღსვლები: ერთის მხრივ, ბედ-სვიანობა — სვე-ბედიანი — ბედ-სვიანი და ა.შ. მეორე მხრივ, ბედ-კრულობა — უ-ბედ-ური, ბედ-შავი (აქედან ბეჩავი) უ-ბედ-ო, ბედ-კრული და ა.შ.

ცალკე საკითხია ბედის „ნერა-მწერალთაგან“ დაბადებისას განსაზღვრული მომავალი საბედო, ცხოვრების თანამგზავრი, რისგანაც უნდა იყოს ასევე დაკავშირებული ქართული ხალხური ტრადიცია აკვანში დანიშნვასა...“

რწმენა იმისა, რომვისაც ბედის „ნერა-მწერალნი“ დაუწესებენ საბედოდ, მას მაინც ვერ ასცდება, ზემომოხსენებილ ეთნოლოგიური მასალაშიც ჩანს.

აკვანში დანიშნის წესი უნდა მივიჩნიოთ ბედის „ნერა-მწერალთა“ მორჩილების გამოხატულებად...“

დაქორნინების დაგვიანება ქალისა და ვაჟისათვის „მორჩილების“ აუსრულებლობის შედეგად არის გააზრებული, რასაც კარგად გადმისცემს ორი ამგვარი შესიტყვება:

„ბედის შეკვრა“ და „ბედის გახსნა“.

მეუღლეობა — ერთი უღლის ქვეშ შედგომა, ერთი წრის არეში დადგომაა, სახლი და ოჯახი ერთი წრეა, ხოლო მის გარეთ ყოველივე წარმოდგენილია უცხოდ, არაშინაურად, წრის გარე-სამყაროდ...“

„...ბედის შეკვრა“ და „ბედის გახსნა“ — ძაფისადა გორგალის გადანასკვადაც წარმოდგება, როგორც ეს შელოცვების რიტუალებში დასტურდება.

ყველა წარმოდგენით, „ბედის გახსნა“ და „შეკვრა“ „ნერა-მწერალთა“ სურვილსა და ნებას უკავშირდება.

ბედის „ნერა-მწერალთა“ კეთილმოსურნეობას, ხალხის რწმენით, განაპირობებს კოსმიური და ასტრალური სამყარო (მზე, მთვარე, ვარკვლავები), ასევე წელიწადის დრო, მინდი, დღესასწაულები, ის დრო-სივრცე, სადაც იბადება ბავშვი.

საინტერესოა „ბედისვარსკვლავის“ საზრისი, რასაც უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი დღემდე მოჰყვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში; ბავშვი დაიბადება თუ არა, ცაზე მისი ვარსკვლავიც ჩნდება, ეს ვარსკვლავი ქრება როდესაც ადამიანი გარდაიცვლება...“

„მეგრელთა წარმოდგენით, ბავშვი გაჩნდება თუ არა, მისი სახელობის ვარსკვლავი მაშინვე ცაზე მიეკერება, გარდაცვალების დროს კი ეს ვარსკვლავი ქრება, იშლება („ილასუ“). აქედან მომდინარეობს ტერმინი — „სი სახელი მოლასირი“

ეთნოგრაფია

(შე სახელ წაშლილო, ე.ი. გარდაცვლილო). მათ სწავლა, აგრეთვე, რომ ახალდაბადებულს უხილავი ხელითშესახსრება თუ რამდენხანს იცხოვროს „სააქაოს“, რა ასაკში მოკვდეს და რა სახის სიკვდილით. უპედოდ, უდღეოდ მკვდარ კაცზე იტყვიან „უცვაშტარე“ — „ცვა“ — შუბლს ნიშნავს, „ჭრა“ — წერას, „უ“ არ ქონების მანარმოებელი პრეფიქსია (ცხენი, უ-ცხენო), ე.ი. „უცვაშტარე“ ნიშნავს შუბლზე უნაწეროს, უბედოს.

საინტერესოა ის ნივთები, ბედისწერის, გუნებ-განწყობილების გასაუმჯობესებლად რომ მოიაზრება: ეს არის ძვირფასი თველები — მარგალიტი, ლალი, გიშერი, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, ისეთი საოჯახო ნივთებიც, როგორიცაა: ვარცლი და კიდობანი, ვერცხლის ფული, მარანი, სადაც პურ-ლვინოს და სხვა სანოვაგეს ინახავენ.

ფერთა მეტყველება ტრადიციულად სამ ფერს მოიაზრებს-თეთრი, შავი და წითელი.

შელოცვებში კარგად ჩანს ფეხმიმობისას და ახალშობილობისას ამ ნივთებისა და ფერების საკრალურობა:

„ცხრა მულმა და მულისულმა კიდობანი შეკრა, შებეჭა, დრომდე ჩემი ფეხმიმობაცა ჩემს მუცელში ბავშვი ამყოფე“. (ორსულის შელოცვა).

დაბადებამდე, ჯერ კიდევ მუცელადყოფნისას განსაკუთრებული მზურნველობა ორსულისადმი — სიმშვიდე, გარემომცველი სამყაროს ჰარმონია, ფერთა შერჩევა, საკვებისა და საქმიანობის რიგი აკრძალვები (სატირალში არ შეიძლება წასვლა, ჭირის სუფრასთან მისვლა და ა.შ.), გარდა დიდი სურვილისა ოჯახის წევრთაგან, რომ ახალშობილი იყოს ჯანსაღი, ქართული ეთნოლოგიური და ფოლკლორული მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, ერთგვარად გულისხმობს ბედის „წერა-მწერალთა“ გულისმოგების წადილს. იდუმალ შიშს მათი მსჯავრისადმი, სურვილს, აარიდონ ბავშვს ავი ბედისწერა.

ბედის „წერა-მწერალნი“ დაბადებამდე „უქმობენ“, მაგრამ ეს „უქმობა“ ალბათ ლოდინსაც გულისხმობს.

„წერა-მწერალნი“ ორსულ ქალს თავს დასტრიალებენ, მათი არგაბრაზების სურვილი იგულისხმება წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციათა ალწერილობაში.

ამგვარად, ბედის „წერა-მწერალთა“ მონათხრობის კანონიკა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ქრისტიანობამდელი წარმოდგენების ნათელი სურათია და ბერძნული ტრაგედიის „ფატუმს“ ჰქონის. გარეგნულად „ანგელოზი“ დაერქვა „ბედის-მწერალთ“. ხშირად ნათლია, ქრისტე მონაწილეობს,

რათა შეცვალოს „წერა-მწერალთაგან“ დაწერილი ბედისწერა, მაგრამ ისიც უძლურია და ვერ იფარავს ბავშვს უბედურებისაგან, ვერ აუქმებს ბედისწერას...


როგორც თ. სახოვია წერს: „ყოველ ქალს, ვისაც დროებით ძუძუ უწოვებია გაზრდილისათვის, შემდეგში უფლება აქვს დაიჩემოს ნათესაობა მისა დამ ის დროებით გაზრდილს შორის, რადგან ამ უკანასკნელმა ამ ქალის ძუძუს კბილი დაადგა; აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს თვით კბილის დადგმის ფაქტს.“

ქალს თუ ბევრი რძე ჰქონდა, გამოიწველიდა და ზედემტ რძეს უსათუოდ ნაცარში შეაქცევდა, სხვაგან არ შეიძლებოდა. აქაც ბავშვის კვება ნორმირებული არ იყო. ძუძუს წოვებისას ბავშვის ტირილი საყურადღებოა, რამდენჯერაც იტირებდა, იმდენჯერ ანოვებდნენ და ხშირად იგი ძუძუზე იძინებდა. კვების ასეთი რეჟიმი დასტურდებოდა თითქმის მთელ სამეგრელოში.

სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, დედა ბავშვს საკმაოდ დიდხანს, თითქმის 3-4 წლამდე ანოვებდა ძუძუს. ფიქრობდნენ, ბავშვი, რაც უფრო მეტ ხანს იკვებებოდა დედის რძით, მით უფრო ჯანმრთელი იქნებოდა. როდესაც დედა ჩათვლიდა, რომ ბავშვს უკვე შეეძლო ჩვეულებრივი საჭმლით კვება, იგი მას ძუძუს წოვებას ატოვებინებდა. ბავშვი, ძუძუს რომ აღარ მიკარებოდა, ძუძუს თავზე წაისვამდა კვაწარახს, ნაღველს, ქინაქინს, წინაკას, წლის თავზე დედა ცდილობდა ბავშვისათვის ძუძუსთან ერთად, დამატებითი საკვების მიცემას. აჭმევდა თაფლის ფაფას, ძროხის ან თხის რძეში, თხის რძე უფრო თხელი იყო, მოსანელებლად ადვილი და ამიტომ უკეთესია ძროხის რძესთან შედარებით), მესამედ წყალს ურევდა და ფაფას უკეთებდა; ასე თანდათანობით გადაჰყავდათ ბავშვი საერთო კვებაზე.

სამეგრელოში ბავშვს თმას პირველად ერთი წლის შემდეგ შეჭრიდა დედა, მამა ან მამიდა და თან დააყოლებდა: „ჩქიმ(ი) მაგირძა, ჩქიმ(ი) მაშვა, ურაცხენიში იბორკალი: (და სამჯერ გაიმეორებდნენ) („ჩემი სიმსხო, ურაცხენის საბორკავი, ე.ი. თმა ასეთი გრძელი და სქელი გაგეზარდოს. შეჭრილი თმის ნაწილს დედა ინახავდა, დანარჩენს თუთის, ნიგვზის, ბლის და ტყემლის მოზრდილი ხის ძირში ჩაფლავდნენ, თან ამბობდნენ: ასე გაზრდილიყოს და ბედნიერი ყოფილიყოს ჩემი შვილიო. შეჭრილი თმის დაწვა არ შეიძლებოდა — ბავშვს თმა აღარ გაეზრდებოდა.

გაგრძელება შემდეგ წომარში



ქართველი პეტერბურგის კრისტენობის ცეკვის შემდეგ ცაიკისნამდები

გავშვობაში გაგიაჩებისგან ხშირად მსმენია მოთა რუსთაველის აფორიზმაში გაგრულად. საიდან იცი-მათძი, რომ ვკითხო, მიჰასუსა, კაკა ქვანიამ თარგმნაო. ჩემი დაიწერასება ამაზე შორს „ვეზენსტარსნის“ მაგრული თარგმანით, არ ძასულა. დღეს კი, თარგმანითაც დაიწერასდი და მისი ავტორითაც, თარგმანს, რაც შევეხა, მისი ავტორგიანობა მკითხველმა განსაჯოს, მთარგმნელზე კი მისი ვალიზვილი, ვახში უვანია გვესაუპრეჩა.

— ბაბუაჩემი კონსტანტინე (კაკა) უვანია, ნამდვილად კოლორიტული ფიგურა იყო. მას მთელი ზუგდიდი და სამეგრელო იცნობდა. გამოირჩეოდა შესანიშნავი გარეგნობით, ლამაზი სიტყვა-პასუხით, სხარტი გონებით, კარგი ლექსის თქმა იცოდა. დღესაც ბევრმა იცის მისი აფორიზმები, რომელიც ერთ დროს ხელნაწერის სახითაც ვრცელდებოდა. ყველაფერ ამის მიღმა იყო მაღალი ინტელექტი. ბრნიშვირალედ იცოდა რუსული (კლასიკური რუსული) ენა. კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონდა.


კაკა უვანია 16 წლის განმავლობაში (1894—1914წ.) სკოლის დირექტორი იყო. ამ სკოლას „უვანიას სკოლას“ ეძახდნენ. მისი მოსახულები იყვნენ: ნიკოლოზ ანთელავა, კოტე გრიგოლია, ილია ვეკუა და სხვები. იმ დროს, მოგეხსენებათ, „როზგი“ ყველა სკოლაში იყო მიღებული, როგორც აღმზრდელობითი სისტემის ერთ-ერთი ელემენტი. „უვანიას სკოლა“ ამ მხრივ ჰუმანიტარიზმით გამოირჩეოდა — „როზგი“ მასთან აკრძალული იყო.

ბაბუა მშვენივრად მდეროდა ქართულ, მეგრულ ხალხურ სიმღერებს. მე მახსოვს მისი გურული ურთულესი პოლიფონიური სიმღერის შესრულება.

კინი გეგეჭკორი,
ცნობილი ლო-
ტბარი, ბაბუ-
აჩემის სახლში

გაიზარდა და პირველი გაკვეთილებიც ბა-
ბუაჩემისგან მიიღო. ძუკუ ლოლუა, კირილე
პაჭკორია — კაკას მეგობრები იყვნენ. მათ 1914
წელს ჩაატარეს ქართული ხალხური სიმღერების
პირველი ფესტივალი ზუგდიდში. უიურის წევრები
(ზემოთ დასახელებული პიროვნებები) ბოლო დღეს
მაყურებლის წინაშე თავადაც წარსდგნენ.

1914 წ. დაიწყო 1 მსოფლიო ომი. 1915 წ. კაკა უვანია რუსის ჯარში, როგორც განათლებული კაცი, ექვსთვიან კურსებზე გაუშვეს და ოფიცრის წოდება მიანიჭეს. შემდეგ კაპიტანი გახდა. მსახურობდა თურქესტანის 29-ე ქვეით პოლკში. მონაწილეობა მიიღო ოთხ დიდ ბრძოლაში, ოთხჯერ დაიჭრა, გამოჩენილი მამაცობისათვის სხვადასხვა ორდენები მიანიჭეს, იყო წმ. გიორგის ჯვრის კავალერი. 1916 წელს ტყვედ ჩავარდა. 1918 წელს მეფის ოჯახის მცდელობით იგი 9 ტყვე გერმანელ ოფიცერში გაცვალეს. ერთ-ერთ ფრონტის მთავარსარდალს, ბაბუაჩემს რომ აჯილდოვებდა, უთქვამს: „იქ, სადაც თუნდაც ერთი ქართველი



ჩაუმქრალი სანთელი

ოფიცერია, დარწმუნებული ვარ, ის სამხედრო შენაერთი აუცილებლად დიდ წარმატებას მიაღწიეს-ო“.

ტყვეობიდან დაბრუნებული, მოსკოვში, ლეფორტოვის საავადმყოფოში გაატარეს კომისიაზე და დაადგინეს, რომ დაკარგული ჰქონდა შრომისუნარიანობის 90 პროცენტი. ამ დოკუმენტით და ჩინმედლებით ჩამოვიდოდა იგი საქართველოში. სენაკში მას დახვედრია უჩა დადიანი, რომელმაც მუხლზე დაუჩიქა თურმე, ხელზე ეამბორა და უთხრა: ეს ამბორი გადაეცი დედაშენს, რომ სამეგრელოს ამისთანა შვილი გაუზარდაო.

ომიდან დაბრუნებულს მენშევიკურმა მთავრობამ შესთავაზა აფხაზები, სოხუმში, სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობა. მას სულ 80 კაციანი რაზმი ჰყოლია. 1921 წელს, როცა წითელი არმია შემოვიდა საქართველოში, კაკა უვანიამ დიდი გმირობა ჩაიდინა, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია და ისტორიკოსების კვლევის საგანი უნდა გახდეს. გეტყვით მხოლოდ, რომ ენგურის სანაპიროზე კაკა უვანიამ თავისი მცირერიცხვოვანი რაზმით ისეთი თავზარდამცემი მარცხი მიაყენა რიცხვობრივად ბევრად მეტ წითელ არმიას, რომ მთელი ორი კვირით მათი შემდგომი წინსვლა შეაჩერა. ამის შესახებ ბაბუა საერთოდ არ ლაპარაკობდა (როგორ ილაპარაკებდა, როცა 1924, 1937 წლების რეპრესიებს ბეწვზე გადაურჩა. 1952 წ. „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებითაც სასწაულებრივად გადარჩა), ეს ამბები მეც გვიან გავიგე მისი მეგობრებისგან.

ეს, რაც შეეხება კაკა უვანიას, როგორც პიროვნებას, მოქალაქეს, მეომარს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელზე რას გვეტყვით, როდის და რა მიზნით თარგმნა?

— ბაბუაჩემი 1973 წელს გარდაიცვალა,

როცა მე 27 წლის ვიყავი. ამდენად, კარგად მახსოვს, როგორ ითარგმნა „ვეფხისტყაოსნი“. 1861

წელს, როცა ბაბუა 83 წლის გახლდათ, დაიწყო აფორიზმებისთარგმნა გართობის მიზნით (საერთოდ, ღრმა სიბერეშიც ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა). მერე ტექსტზე გადავიდა, ჯერ დასაწყისი თარგმნა, არ მოეწონა, შემდეგ სხვა სტროფი თარგმნა, რომელიც მოეწონებოდა,

იმას თარგმნიდა. მერე მიჰყვა და მიჰყვა. როდესაც სტუმრები მოდიოდნენ, ბაბუა თავის ნათარგმნ სტროფებს უკითხავდა მათ. სტუმრებს ძალიან მოსწონდათ და გაგრძელებას სთხოვდნენ. ბაბუამაც გადაწყვიტა მთლიანად ეთარგმნა ეს შესანიშნავი პოემა. თან 1966 წელი ახლოვდებოდა, როცა მთელი მსოფლიო აღნიშნავდა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 700 წლისთავს და ამ თარიღისთვის უნდოდა დაემთავრებინა თარგმნა.

მართლაც, ამ დროისათვის მან დაასრულა თარგმნა. მას მერე 7 წელიწადი იცოცხლა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხვეწდა, „აშალაშინებდა“ ტექსტის.

სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც მეგრული თარგმანი წაიკითხა, იყო კონსტანტინე გამსახურდია, რომელთანაც ბაბუა მეგობრობდა. მახსოვს, ერთხელ თქვა: კონია შემპირდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვასო.

„ვეფხისტყაოსნის“ რომ თარგმნიდა, მას ბრწყინვალედ ესმოდა, რომ მეგრული არის დიალექტი, კოლხური და ამავე დროს საყრდენი ენა, ურომლისოდაც ქართული ბევრს წააგებდა (დღეს ამ აზრს ბევრი მეცნიერი იზიარებს). დარწმუნებული იყო, ის მეგრული სიტყვები, რომელიც თარგმანში იყო გამოყენებული, აუცილებლად გამოადგებოდა მომავალ თაობებს. — „რაც შეეხება თარგმანის მნიშვნელობას, მე მგონი, მეგრული სიტყვის ლექსის მოყვარულთ ის გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ხოლო ბევრი რამ საინტერესო და ღირშესანიშნავი შეიძლება აღმოაჩნდეს“ (კაკა უვანიას წინასიტყვაობა).

ესაუგრა ამრითა ჯანაშია

ზუგდიდები უცუცესები



მარცხნიდან: კაკა უვანია, კინი გეგეჭკორი, გვანჯი ჩიქოვანი



ისტორია

ისტორიულ-გეოგრაფიული ორგანიზაციის სამეცნიერო სრული მაჩვდებლი

დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის შუაგულ დაბლობზე, აბაშის რაიონში მდებარეობს ერთ-ერთი ლამაზი და ისტორიული სოფელი — სუჯუნა. ქალაქ აბაშიდან ის 6 კმ-თაა დაშორებული. ზღვის დონიდან 20 მ. სუჯუნის თემში შედის სოფლები: სუჯუნა, ენერი, ნალიკარი. მოსახლეობა შეადგენს 2320 სულს. სუჯუნის ისტორიული ფესვები შეიძლება მოვიძიოთ ძველკოლხური, ანტიკური ხანიდან. სწორედ ამ ადგილებში მოიაზრება ძველ ქართველ ტომთა უდიდესი გაერთიანება კოლხა, რომელიც მოგვანებით ჩრდილოეთიდან შემოსული ურარტული კიმერიელების შემოსევამ დაშალა და გაანადგურა. მანამდე კი, კოლხას ბრწყინვალება და მატერიალური კულტურის მრავალფეროვნება ძველბერძნულ მითოლოგიაში აისახა. მართალია, არგონავტების მოგზაურობამ კოლხეთის სამეფოში თქმულების სახით მოაღწია, მაგრამ მას, როგორც ერთ-ერთ პირველწყაროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ისტორიული ნარსულის შესასწავლად. ცნობილი ისტორიკოსის, პროფესორ სერგი მაკალათიას კვლევით „...ძველი კოლხეთი გეოგრაფიულად მდებარეობდა შავიზღვის ნაპირას, დღევანდელ დასავლეთ საქართველოში. საკუთრივ კოლხეთი, მისი ვიწრო ეთნიური მნიშვნელობით, ენოდებოდა რიონის ხეობას და უმთავრესად შეიცავდა დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიას. პოლიტიკური ძლიერების პერიოდში, კოლხეთი მოიცავდა მდინარე ჭოროხის ხეობას, ე.ი. ლაზისტანს, აჭარას და გურიას, აგრეთვე ენგურის ხეობას, ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიას. კოლხების ძლიერების ხანაში V-I ს. ძვ.წ.აღ. მთელ მხარეს ბერძნები „კოლხიდას“ უწოდებდნენ. მისი საზღვრები იყო: აღმოსავლეთით ლიხის მთა, დასავლეთით შავი ზღვა, ბიჭვინთიდან ტრაპიზონამდის. სტრაბონის ცნობით, ფაზის მდინარის პირად მდებარეობდა ქალაქი იმავე სახელისა

(ფაზის ქალაქი). მდინარე ფაზის (რიონს) ერთვოდა ბოასი (ყვირილა), ჰოპბოსი (ცხენისწყალი) და გლავკორი (ტეხური). გარდა ფაზისისა, კოლხეთში მოედინებოდა ჭოროხი და ენგური, თავიანთი შენაკადებით. ...მეგრელები კოლხების უშუალო მემკვიდრენი არიან. ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, სამეგრელო იცვლიდა თავის გეოგრაფიულ — პოლიტიკურ სახელწოდებას. უძველეს დროში მას ეწოდებოდა „კოლხიდა“ ან კოლხეთი, საშუალო საუკუნეების ადრინდელ პერიოდში „ლაზიკა“ ან ეგრისი, შემდეგ ოდიში და ახლა იგი ცნობილია სამეგრელოს სახელწოდებით, ამიტომ სამეგრელოს ისტორიაც იყოფა სამ მთავარ პერიოდად: კოლხეთისა, ლაზიკ — ეგრისისა და ოდიშ — სამეგრელოსი.” (ს. მაკალათია. „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“. თბ., 1914 წ.). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს ბერძნები „კოლხიდას“ — კოლხეთს უწოდებდნენ, ადგილობრივ კი მას ეგრისი ერქვა. ეგრისი ლეონტი მროველის (X ს.) გადმოცემით, მეგრელების მითიური წინაპრის — ეგროსისაგან უნდა იყოს ნარმოშობილი: „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანთა, ჰერთა და ლეკათა და მეგრელთა ამა ნათესავთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი ძის ნული იაფეთისი ნოეს ძისა.“ თარგამოსს ჰყოლია რვა გმირი შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას და ეგროსი. „...ეგროსასა მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი აღმოსავლით მთალიხი, დასავლით ზღუა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, ან მას ადგილსა ჰერთა ბედია.“ („ქართლის ცხოვრება“). რიონისპირეთში, სადაც კოლხთა, ანუ მეგრელთა მრავალი დაბა — ქალაქი იყო მაშინ, მუხერისს,

ისტორია

ანუ სამოქალაქოს უწოდებდნენ. როგორც ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ აღნიშნავს, გუბაზ მეფის ბრძოლა სპარსელების ლაზიკიდან ანუ ეგრისიდან გასაძევებლად 549 წელს, სწორედ მუხერისთან მომხდარა. „მეორე დღეს გაცეცულებს დაედევნენ და იბერის საზღვრამდე სდიეს. აქ ლაზების ერთი რაზმი მონაბირედ დააყენეს, რომ საზღვარი დაეცვათ და სპარსელები ლაზიკაში არ გადმოეშვათ. თვითონ კი ძლევამოსილნი შინ დაბრუნდნენ... სპარსეთის მეფემ 550 წელს სარდალი ხურიანე დიდალი ჯარით გამოუშვა ლაზიკაში, რომელიც მუხერისის ხეობაში, ცხენისწყლის ნაპირას დაბანაკდა.“ (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი I, თბ., 1979 წ.). მუხერისის ხეობა, სავარაუდოდ, მდებარეობდა მდინარე ცხენისწყალსა და რიონს შუა. მას რიონი სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვრავდა. მთელს ლაზიკაში მუხერისი (მუხურისი, მოხერისი, მოხირისი, მოხურისი, მოხორისი) განთქმული იყო თავისი სიმდიდრით. პროკოპი კესარიელის (VI ს. I ნახ.) გადმოცემით: „მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მინა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვანაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება ეს ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი (რიონი). მის ნაპირებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელსაც კოტიაონს უწოდებენ ელინური ენით. ამჟამად მას ლაზები ქუთათისს ეძახიან“. (პროკოპი კესარიელი, „გეორგია“, ტ II, 1943 წ.). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მერი ინაძის გამოკვლევა კოლხთა ძირითადი სატომო ბირთვის ადგილ-სამყოფელის შესახებ, კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების წინა ხანაში: „კოლხთა ძირითადი ბირთვის ხელში, ამ დროს აღმოჩნდა ქვეყნის ყველაზე ნოენირი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მიწები, სახელდობრ, მდ.რიონის გაყოლებით და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, ქალაქ ქუთაისის სანახებიდან ზღვამდე. (ეს ტერიტორია მოიცავდა პროკოპი კესარიელთან მოხსენიებულ მოხირისის დიდ ნაწილს)... ამ მდიდარი მფლობელობის საფუძველზე, აღმოცენდა კოლხეთის მეფის ხელისუფლებაც (ძვ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან). აქედანვე უნდა მომხდარიყო ამ ქვეყნის გარშემო მდებარე მიწების, ეთნო-ტერიტორიული და სამეურნეო ერთეულების შემომტკიცება-შემოკრება და შემდეგ მათი კოლხეთის სამეფოს საგამგეო ოლქებად

ჩამოყალიბება. მდინარე რიონის ქვემო და ზემო წელით შემოსაზღვრული მხარე რომ კოლხთა სამეფო სახლის ძირითადი და უძველესი საკუთრება უნდა ყოფილიყო, ამის დასტურია ლეონტი მროველთან („ფარნავაზის ცხოვრებაში“) დაცული ის ცნობაც, რომ ფარნავაზის მიერ დასავლეთ საქართველოზე ქართლის პოლიტიკური გავლენის გავრცელების შემდეგ, როცა ქუჯის შემოეცალნენ ქვეყნის საგამგეო-ადმინისტრაციული ოლქები, მას საერისთაოდ დარჩა მხოლოდ მდ.რიონიდან ეგრისწყლამდე და ზღვამდე მდებარე მიწა -წყალი. ქუჯის ეს ეგრისად წოდებული „საერისთავო“ ტერიტორიულად ემთხვევა წინაანტიკური ხანის კოლხთა წამყვანი სატომო ბირთვის ადგილ-საცხოვრისს — „კუტაის მინას“. აქ მდებარეობდა ამ ქვეყნის მთავარი ქალაქი „კუტაის“ და აქვე, ამ მიწა-წყლის შუაგულმი, მდინარე ტეხურის ნაპირზე ქუჯიმ ააგო ციხე-გოჯი არქეოპოლისი, კოლხთა სამეფოს მეორე დედაქალაქი... ეჭვი არ არის, რომ მიწა, რომელსაც ფარნავაზი უტოვებს ქუჯის და სადაც ქუჯი თვითონ აგებს ციხეს — პოლიტიკური ძალაუფლების ამ სიმბოლოს, მისი საკუთრებაა, მისი მამაპაპისეული მამულია და ამდენად, სამეფო დომენიც აქ არის.“ (მერი ინაძე, „ძველი კოლხეთის საზოგადოება“ თბ., 1994 წ.). თუ თავს არ შეგანყენთ, მცირეოდენ ლიტიულ გადასვევას გავაკეთებ, ჩვენს შორეულ წინაპართან — ქუჯისთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ მონაფეობისას, როდესაც პირველად შევავლე ხელი „ქართლის ცხოვრების“ ფოლიანტებს და ბუნდოვანი ლაბირინთებით გზა გავიკვლიე ლეონტი მროველის „პამბავი მეფეთას“ ქვეთავებში, ჩემთვის ერთ-ერთი პირველი საამაყო ისტორიული პიროვნება ეგრისის მმართველი ქუჯი გახდა. როგორც ვიცით, ძვ.წ. აღ. III საუკუნეში, მეფე ფარნავაზმა, ეგრისის ერისთავი ქუჯი შეარჩია ყველაზე სანდო დასაყრდენად, რომ პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო მეექმნა. სიზმარში ნანახი და შემდეგ ნაპოვნი ხვასტაგის (განძის) განკარგვა ფარნავაზმა სწორედ ქუჯის ანდო: „ვიყვნეთ ჩვენ ძმა და ვიხმაროთ ჩვენ ხვასტაგი იგი ორთავე. გამოუწიდეთ ჩვენ მტრად აზონ ერისთავსა, და სვემან ჩვენმან გვცეს ჩვენ ძლევა კეთილი.“ თვითონ მიდის ქუჯისთან ეგრისში და თან დედა და დაც მიჰყავს, რომ მშვიდობიანად ჰყავდეს და სთხოვს მოკავშირეობას. ქუჯი კი ეუბნება: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი. ან ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, რათა განვამრავლეთ სპანი. და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი...“ ალბათ, მსოფლიო თვალ-საწიერზე ძნელად თუ მოიძებნება მსგავსი

მაგალითი, მსგავსი თავმდაბლობა მიწყივ ტახთ-მაძიებელ ხელმიწიფებათა შინა. მაგრამ ეს ხომ „მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით“. დავუბრუნდეთ ისევ ძველი კოლხური ისტორიის კავლევებს. კოლხეთის მოსახლეობა ეკუთვნიდა ქართველთა ტომის სამ შტოს — კოლხებს, რომელშიც შედიოდნენ მაკრონები (მეგრელები) და ჭან-ლაზები, აფშილ-აფხაზებს და სვანებს. ძველ კოლხეთში საკმაოდ დანინაურებული ყოფილა საზოგადოებრივ — კულტურული ცხოვრება. კლასიკოსი მწერლები აქებდნენ კოლხეთის სტუმართმოყვარეობას. კოლხები დიდ დახმარებას უწევდნენ, თურმე, ზღვის დელვისაგან გადარჩენილებს — ფულით, სურსათის მიწოდებით, თუ სხვა საშუალებებით... საინტერესო ცნობებს იძლევა V-VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი აგათია სქოლასტიკოსი დამოუკიდებლობის არმქონე ლაზების პოლიტიკურ გამჭრიახობასა და გულადობაზე: „ძლიერსა და მამაც ტომის წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზე მბრძანებლობენ, შესაძლებელია, არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომელიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორქმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშეგრდომითა სიმრავლით, როგორც მიწანულის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით. იმ დროს, როდესაც წინანდელ მაცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ, არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მოვიდოდა. ახლანდელი მცხოვრებლები დასუურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიც ნახულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან და არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ, რომაელებთან კავშირის წყალობით, თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონის სახე მიუციათ.“ როგორც ამ ამონანერიდან ჩანს, სქოლასტიკოსი კარგად იცნობდა ქსენოფონტეს (V-IV ს. ძ.ნ.) და არიანეს (II ს. ახ.ნ.) ნაშრომებს კოლხეთის შესახებ, სადაც ისინი კოლხებს „ბარბაროსებს“ და „ჩამოქვეითებულებს“ უწოდებენ, თუმცა სხვა მოგზაურ-მკვლევარები ამ მხარეს „ლითონმრავალ“, „განვითარებულ“ და „ძლიერ“ ქვეყნად მოიხსენიებენ. ასეა თუ ისე, უამთააღმნერლები ხშირად ურთიერთგამორიცხავ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ძნელი სათქმელია, ასეთი განსხვავებული სურათები რა მიზეზით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ფაქტი ერთია: ყველა თავისი განწყობით,

იმდროინდელ, კონკრეტული მოვლენის დროს მომხდარს და ნანახს აღწერს. ჩვენი ისტორია კი სავსეა ავტედითი დღეებით, წლებით და საუკუნეებით. ცეცხლითა და მახვილით ჩვენს მამულს შემოსული მომთაბარეების, ურჯულოების ხოცვა-ულეტას, გადანვა-განადგურებას სასწაულებრივად გადარჩენილი ქართველი ხალხი კიდევ კარგად ახერხებდა ფეხზე დადგომას და განვითარებას. ამაში კი მთელს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვა (პონტოს ზღვა) და მასთან ერთად მდინარე რიონი (ფაზისი) უდიდეს დახმარებას უწევდა. მათი სტრატეგიული მინიშვნელობა ვაჭრობის განვითარებაში, ნაოსნობასა და მიწამოქმედებისათვის ნიადაგის განოყიერებაში გამოიხატებოდა. „...ცხენისტყობისა და რიონისკენ არს საჭილაო, სამიქელაო და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითვე. პირუტყვი მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულ, ფრინველი ურიცხვი, თევზინი არასადა თვინიერ რიონისა, კირჩხიბი მრავალი...“ (ვახუშტი ბატონიშვილი, „აღნერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1973 წ.). დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სწორედ ამ გზით მიემართებოდნენ უცხოური საქონლით დატვირთული გემები და ნავები. ამ ადგილების ისტორიულ — გეოგრაფიული რარიტეტების უკეთ გარკვევისა და მასთან ერთად სუჯუნის ძველი ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის, ვფიქრობ, აუცილებელია მოვუსმინოთ ამ საკითხებში მეტად კომპეტენტურს, სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის დამაშვრალ მკვლევარს, „სამეგრელოს მინდიას“, მარტვილის მხარეობის მუზეუმის დამაარსებელს და სიცოცხლის ბოლომდე მის უცვლელ დირექტორს, ცნობილ მეცნიერსა და მწიგნობარს გივი ელიავას: „...რიონისპირეთი ხასიათდება ნაყოფიერი ნიადაგით, სადაც საუკუნეების განმავლობაში კოლხები და ლაზები მარცვლეულ კულტურებს თესავდნენ, ინტენსიურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. ითესებოდა ღომი, ფეტვი, ბრინჯი, სელი და კანაფი. დუღდა სამოქალაქო ცხოვრებაც. აქ გადიოდა „ჯვეში შარები“ — ძველი სახმელეთო გზები ფოთი-ქუთაისისა და ციხისძირ-ჭყონდიდისაკენ. ეს გზაჯვარედინი ერთმანეთს კვეთდა შუაქალაქში, რომელიც ამ გზათა თავშესაყარს და მის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ გზის გასწვრივ მდებარეობდა ძველი სამდინარო გზა ფაზისზე (რიონზე) — ე.ნ. ინდოეთის სავაჭრო გზა, რომელიც მტკვრის ხეობით ჩადიოდა კასპიის ზღვაში და იქიდან ინდოეთისაკენ მიემართებოდა...“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


მრთა ნიშნისიპა

დილსკურია



წეალქეგება ზღაპარს ქამი ლოგავს ქვამარილივით
და უცხო სილვებს ლანდებივით გააქვთ ლივლივი.
კუს ბაკნებია ახორნილი თუ ქვიტკირია,
ერთმანეთზე რომ ფაჭასავით ჩაუკირიათ?
ეს დაუანგული ჯაჭვია თუ მზის ქერქებია?
ზღვისქვეშ დამარხულს აღსასრული წის ქვეშ ერჩია.
ბნელ ჯურღმულებში ოქროს თევზი გაიკომეტებს
და გაანათებს ქვირითივით დაურილ მონეტებს.
ლაზის შებივით წამასული ციხე წოწოლა
გაფოფრილია ბალახების უვითელ კოცონად.
ქვიშად დაქნილა უამრავი ციხე-ტაძარი,
ტალღებისაგან ბლუჯა-ბლუჯა დანატაცარი.
აქა-იქ ფსეური აღიგზება და, როგორც ქრულა,
წეალქეგება წიაღს ფოსფორული ციაგი ქონაგს.
ანათებს ელვა მარჯნის ტექებს, ქედებს ცარცოვნებს,

შენ, ზღვის ფსეურზედაც - სიყვდილშიაც,
გნედავ, აზროვნებ!
ფსეურზე მარხია საიდუმლოს ვერგამეტებით
ხბოს ტეავის მმიმე გრავნი ლები, ჰერგამენტები...
ანძის ნატები, ხმლის ნატები, გუთნის ნატებია
უვირის: აღქი! ო, აღქი! გვეო, აღქი!
გაექცე სიკვდილს - ერუდედაბერს, კბილებმოცვეთილს,
გადაიხსენი, ამოდუღდი და აღმოცენდი!
მითხარ, რა ვიუავ, რისი მოშწრე, რისი მიმგნები,
მერე მე გეტუვი, დღეს რა ვარ და ხვალ რა ვიქნები!
ჰაუ, ამოდის, ამოდის და კელარც ამოდის
ჩრდილი გუმბათის, კერპის ჩრდილი,
ჩრდილი მამონტის,
ნახევრად ისე სიზმარ-ცხადი, ნახევრად მითი,
დიდი სიმღერა წარმართული, ტკივილი დიდი.
ეს დამარხული ჩვენი ტანი, ჩვენი სულია, -
ამოდის ზღაპრულ სომალდივით დილსკურია!



გიგა მთხოვნელის გაცლებაშე გაუღილებულ კანჯი- აღლის 17 წარივალი ჰყავს გრძელი?

კანჯი-ოღლის ძართული მხარისთვის გადმოცა
გამორიცხულად მიმართია, ამაზე აფხაზური მხარე არ წავა.

19 მაისს ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საზღვრის დაცვის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღით სასტიკად მოკლეს გალის რაიონის სოფელ ბარღების მკვიდრი გიგა ოთხოზორია. ერთმა მათგანმა, რაშიდ კანჯი-ოღლიმ, ოთხოზორიას თავში საკონტროლო ტყვია დაახალა. გარდაცვლილს 2 ტყვია ფეხში, 3 - მუცელში, ერთი კი თავში ჰქონდა დახლილი. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლს რაშიდ კანჯი-ოღლის წითელი ცირკულარით ძებნის დაწყების თხოვნით მიმართა.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი: - აფხაზური მხრიდან საქართველოს მოქალაქეების მკვლელობის ფაქტები ადრეც ყოფილა, როგორც 90-იან წლებში, ისე წინა ხელისუფლების დროსაც. 2007 წელს აფხაზები საზღვარზე გადმოვიდნენ და განმუხურის პოლიციის განყოფილებას დაესხნენ თავს, მაგრამ რაც 19 მაისს მოხდა, განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩევა. როგორც ირკვევა, ამ ფაქტს აფხაზ საზოგადოებაშიც არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა.

- რა იცით რაშიდ კანჯი-ოღლის შესახებ? როგორც ითქვა, ის ქართველების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა.

- აფხაზური მხარის ინფორმაციით, ტყვარ-



ჩელები რაშიდ კანჯი-ოღლი აფხაზეთის ე.ნ. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელია. წარმოშობით ლაზია, იმ ლაზი მოჰაჯირების შთამომავალი, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ აჭარასა და აფხაზეთში. ჯგუფში, რომელმაც ოთხოზორია მოკლა, მეორე ლაზიც იყო - კატან-ოღლი. რაშიდ კანჯი-ოღლის მამა აფხაზეთის ომის გმირი იყო, არის ერთ-ერთი აფხაზური უმაღლესი ჯილდოს კავალერი. ერთნი ამბობენ, რომ ის ომის დროს დაიღუპა, მეორეთა თქმით კი, ომის დამთავრების შემდეგ მოკლეს - არასრულწლოვნის გაუპატიურებაში მონაწილეობდა და გოგონას ნათესავებმა სამაგიერო გადაუხადეს. ვინ და რა ეროვნების იყო ის გოგონა, ამის დადგენა ვერ შევძლით... როგორც ირკვევა, მკვლელობის შემდეგ რაშიდ კანჯი-ოღლი რუსეთისთვის თავის შეფარებას გეგმავდა, მას გვარიც ჰქონია შერჩეული - დუხინი. ქართული მხარე დარწმუნებული იყო, რომ მკვლელი აფხაზეთიდან გავიდოდა. სხვადასხვა წყაროსგან მივიღეთ არაფიციალური ინფორმაცია, რომ იგი დაკავებულია. მას 17-მდე ქართველი ჰყავს მოკლული, თუმცა არა გვაქვს ზუსტი ინფორმაცია. აფხაზური მხარის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ოთხოზორია და კანჯი-ოღლი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ეს არც არის გასაკვირი, იმიტომ, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, მათ, ვინც

ხურჩა-ნაბაკევის საზღვარზე ხშირად გადადიან, კარგად იციან, ვინ დგას საზღვრის პერიმეტრზე და აფხაზი მესაზღვრეების რომელ ცვლასთან ჯობია ურთიერთობა. აფხაზური მხარე ამბობს, რომ ოთხორიამ, რომელიც საზღვარზე არ გაატარეს, დებოში ატეხა და შეიგინა, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არანაირი საბუთი, რომ მაინცდამაინც აფხაზურ მხარეს დავუჯეროთ. თუნდაც ეგინებინა, ასეთი შედეგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

19 მაისს ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საზღვრის დაცვის თანამშრომელმა რაშიდ კანჯი-ოლლიმ გიგა ოთხორიას თავში საკონტროლო ტყვია დაახალა.

ერთი წყარო გვატყყობინებს, რომ აფხაზურმა დე ფაქტო პროკურატურამ საქმე განზრას მკვლელობის მუხლით აღძრა, სხვა წყარო გვატყობინებს, რომ საქმე ძალუფლების გადამტებისა და საზღვრის წესდების დარღვევის ფაქტზე აღძრა და რომ ეს იყო რუსების კატეგორიული მოთხოვნა. ყოველ შემთხვევაში, ის, რომ აფხაზები ცდილობენ, ცივილიზებულ საზოგადოებად წარმოჩნდნენ, ფაქტია. აქედან გამომდინარე, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძრა სოხუმის დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებაც იყო.

საქმე ის არის, რომ მკვლელი არ არის აფხაზი და აქედან გამომდინარე, ოფიციალური სოხუმისთვის ბევრად მარტივია მისი დაპატიმრება. აფხაზეთში დამნაშავის დასჯა დამოკიდებულია იმაზე, თუ ორმელი გვარის წარმომადგენელია.

- როგორ აფასებენ აფხაზები ამ შემთხვევას?

- აფხაზურ სოციალურ ქსელებში წერენ, აღბათ, ქართველმა გააგიურა და ამიტომ ესროლაო. არიან ისეთებიც, რომლებიც გმობენ - თუ ცივილიზებული სახელმწიფო ვართ, არავის აქვს უფლება, სახელმწიფო დარტყმის ქვეშ დააყენოსო. ზოგიერთის მოსაზრებით, რა გარანტია ჰქონდა კანჯი-ოლლის, რომ თუ იქით გადავიდოდა, საპასუხო ცეცხლი არ გაიხსნებოდა და ახალი ომი არ დაიწყებოდა. ერთი მომხმარებელი იმასაც წერდა, მეც იგივე დამემართა, მამაჩემის ორმოცი მქონდა, ადლერში პროდუქტი შევიძინე, მაგრამ შემოტანის საშუალებას არ მაძლევდნენ, რაოდენობის გამო მედავებოდნენ. ისეთი ამბავი ავტეხე, მეც და მათაც იარაღზე გავივლეთ ხელი, კიდევ კარგი, აფხაზურად ვაგინებდი, თორემ, აღბათ, მესროდნენო.

- ხურჩა-ნაბაკევის საზღვარზე ქართველი

სამართალდამცავები არ დგანან. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნებ არც გაეპედათ "მესაზღვრეებს" ასეთი სისასტიკე.

- ამ პირობით საზღვარზე ქართველი მესაზღვრეები რომ იდგნენ, გამოდის, საზღვარს ვცნობთ. ჩვენმა ზოგიერთმა დასავლელმა პარტნიორმა თავის დროზე გვირჩია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ მონაკვეთზე ცოტა უკან ყოფილიყო პოსტები, რათა პროვოკაციის სახით კონფრონტაცია არ მომხდარიყო. როგორც ვიცი, ახლა შსს-მ მიიღო გადაწყვეტილება, ზოგიერთი პოსტი წინ გადასწიოს. ეს ძალზე სათუთი თემაა და მაღალი ტრიბუნიდან ყვირილი, რატომ იქ არ იდგა შსს-ს კონტინგენტი და ასე რომ ყოფილიყო, ტრაგედია არ დატრიალდებოდა, არ ეგების.

წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა, ჩვენი პოლიციელები რომ მდგარიყვნენ და საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ, თუმცა, ისიც შესაძლებელია, იქ რომ მდგარიყვნენ, ოკუპანტებს ვერ გაეპედათ აქეთ გადმოსვლა.

- გადმოსცემენ თუ არა კანჯი-ოლლის ქართულ მხარეს?

- კანჯი-ოლლის ქართული მხარისთვის გადმოცემა გამორიცხულად მიმაჩნია, ამაზე აფხაზური მხარე არ წავა. ქართულმა მხარემ ეს ვითარება უნდა გამოიყენოს პირობითი საზღვრის პერიმეტრის გამაგრების დასაწყებად. როგორც კი ქართული მხარე ამ ნაბიჯს გადადგამდა ხოლმე, უნევის მოლაპარაკებების ფორმატი იქნებოდა თუ ერგნეთის შეხვედრების, ქართულ მხარეს საყვედურობდნენ, არიქა, თქვენ კიდევომიგინდათ. ახლა არსებობს მნიშვნელოვანი საბაბი, მოხდა სასტიკი მკვლელობა და თან ეს ვიღაც ყაჩაღმა კი არ ჩაიდინა, არამედ არალიარებული რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენელმა. ამიტომ ქართულ მხარეს ყველანაირი საბაბი აქვს, მაქსიმალურად გაძლიეროს ამ პირობითი საზღვრის დაცვა.

გარდა ამისა, უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიმართ როგორც ჰუმანიტარული, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. ამ ადამიანებმა თავი მეტ-ნაკლებად დაცულად თუ არ იგრძნეს, მიატოვებენ იქაურობას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განხორციელდება გეგმა ბუფერული ზონების შექმნის შესახებ, რომელიც რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას თავიდანვე ჰქონდა.

რანაც ფიცენების თავიდანვე ჰქონდა
„კვირის პალიტრა“

გათიკო თოლეუა

დავით აღმაშენებელი

„ძებნებლებოდა დაჯერება სიკედილმა ქვეუნად
ნუთუ ოდებებე ესოდენი მხევრებლი მოიმეო?“
დანტე

სიკედილი არის უძლეველი და
მარადიულად უოვლისმუსერელი.
სამოც ბრძოლაში შეწვდა ის დავითს
ურჩი, განმგრთალი, გაფითრებული.
მეფე გელათის გუმბათს ასული
სიკედილმა უცბად მირს დაანარცხა.
მას სამასუთი მკურნალი უჩნდა,
გაგლახ! კერცერთმა გედარ განგურნა.
სამასმექსემ - აფანდამემა
ის თორმეტი ირმის რძეში განბანა.
ამით სიკედილი უკუაქცია,
მძლევთამძლე გმირმა - მეფე დავითმა.
და ჰა, იანვარს, დღისით მაბათსა
დიდი დავითის მზე ჩაესვენა.
მზე ჩაესვენა იმ შორს მჭერეტელის
ვინც ქარებელ ერის იუო მზე, მთვარე.
ვისი ცხოვრებაც თვის ერზე ზრუნვით
იუო მიძღვნილი - იუო მშფოთვარე.
მოკედა ჰერაკლე საქართველოსი,
მაკედონელი საქართველოსი.
უბრწყინვალესი ზონავარი და
სწორუბოვარი მხედართმთავარი!
დარჩა წიგნები ისტორიაში,
რომ თაობებმა მიბამონ - ამინ!
მიბამონ ბრძენებცს, მეფეს აფხაზთა,
მეფეს რანთა და მეფესა კახთა!
მეფეს სომეხთა, მეფეს ქართველთა
მეფეს ჩირალდანს, მეფეს მძლეთა-მძლეს
ო, ერთიანი საქართველოსი,
გაფასიელთა მეფეს - ხელმწიფე!



დიდგორის ბრძოლა

თლ-ღაზის მეთაურობით
თურქ-სელჩუკთა ლაშქარი.
საქრთველოს რომ მოადგა
სამასიათასი კაცით.
მეფე დავითმა თვის ჯარის
დიდ ნაწილს თვითონ უსარდლა
და უფლისწული დემეტრე
მეორე ნაწილს უსარდლა.
მეფემ მიმართა მის ლაშქარს:
„ქრისტიანენო! სჯულისთვის
თავდადებით თუ ვიბრძოს და
ეშმაგსაც კი დაგამარცხებთ!.
„ხელყბი ცისკენ აღმართოთ
და აღთქმა მივცეთ მაღალ ღმერთს:
ბრძოლაში დავისოცებით!
ზურგს არ ვაჩვენებთ ქართველთ მტრებს!
ეს იუო ბრძოლა დიდგორის,
მუსრი ვააგლეს მომხვდურ მტერს,
დამშურობელი თურქებისგან
თბილის ქალაქი გაწმინდეს.



აკაკი გარერელიას პირადი ჩანაწერები


„მუავანაძეობის დრო იყო. კონსტანტინე და მე რუსთაველის პროსპექტზე მივაბიჯებდით. ანაზღაური კონსტანტინემ შემომთავაზა: - ას-ასი გრამი არაყი დავლიოთო. დავლიეთ. ხათრს ხომ არ გავუტეხდი. მერე აიჩემა: - არქიტექტორთა ყრილობას უნდა დავესწროთო... დავყევი მის სურვილს. შევედით სამხატვრო გალერეაში... კონსტანტინემ ვასილ მუავანაძეს სიტყვით გამოსვლის უფლება სთხოვა. მისცეს სიტყვა... კონსტანტინემ დაიწყო: „უცნაური ხალხი ვართ ქართველები! დავით ალმაშენებლის ძეგლი არ დგას თბილისში. ძეგლი კი არა, ქუჩაც კი არ გავიმტეთ, მისი სახელი დაგვერქმია, კამოსთვის კი არაფერს ვიშურებთ, მისი საფლავი ძეგლად ვაქციეთ. აი,



თქვენი ხუროთმოძღვრება! საღამოს ვუმართავთ! ამხ. კამოს ქართველი ერის წინაშე მხოლოდ ერთი დამსახურება მიუძღვის - ჩვენი უსაყვარლესი ბელადის ცოლს, ქალბატონ ნადეჟდა კრუპსკაიას უკურნებელი ვენერიული სენი შეჰყარა, იმან კი - ლენინს. იცოდეთ, ვასილ პავლოვიჩ, ამას კაცობრიობადაგიფასებთ!“ კინაღამჩია-შალათ ყრილობა - დარბაზში ჩირქოლი, ხმაური, სიცილი ატყდა. კონსტანტინემ სიტყვა დამთავრა, მაგრამ არეულ ხალხს რომ გადახედა, შეკრთა და ვასილ მუავანაძესთან მივიდა: „ვასილი პავლოვიჩ, ხომ არაფერი გადავაჭარბე?“ „არა, არაფერი“ - დაამშვიდა მუავანაძემ შეფიქრიანებული მწერალი. „ჰო, კარგი, გეთაყვა“ - მიუგო კონსტანტინემ და თავის სავარძელს დაუბრუნდა.“

სასარგებლო რჩევა

მრავალძარღვა



ერთ-ერთი უძველესი სამურნალო მცენარეა. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ცნობილი იყო ჩინეთში, ძველ საბერძნეთში, რომში და მის სამურნალო თვისებებს აფასებდნენ სპარსი და არაბი ექიმები. ხალხურ და ოფიციალურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება მრავალძარღვას ფოთლები.

გასტრიტი, ენტერიტი, კოლიტი, კუჭის წყლული: 2 ს.კ. მრავალძარღვას დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე 5-10 წუთით და შემდეგ დააყენეთ 30 წუთის განმავლობაში. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

ხველა, გაციება: 1 ჩ. კ. ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20-30 წუთი და გაწურეთ. ნაყენით გამოივლეთ პირის ღრუ დღეში 3-4-ჯერ.

ჭრილობები: 1 ს.კ. მრავალძარღვას გამხმარი ფოთლები დაფშვენით და უმატეთ 2-3 წევთი მცენარეული ზეთი და ვაზელინი პროპორციით 1:9. გამზადებული მალამო გამოიყენეთ ჭრილობის შეხორცებამდე.

სტომატიტი, პაროდონტიზი: 1 ს.კ. ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20-30 წუთი და გაწურეთ. ნაყენით გამოივლეთ პირის ღრუ დღეში 3-4-ჯერ.

ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა, სისხლ-ძარღვების გამაგრება: 1 ს.კ. ფოთლებს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20-30 წუთი, მიიღეთ დღის განმავლობაში. კურსი - 1 თვე.

კესო ლალიძე



მეგრული დიალექტი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას: ოდიშის ზეგანი და თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი - შავი ზღვიდან სვანეთის მთებამდის და ცხენისწყალ-რიონიდან მდ. ლალიძეამდის (არნ. ჩიქობავა, 1937, გვ. 4-5).

მეგრული დიალექტი გავრცელებულია: ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონებში.

მეგრული მეტყველება უფრო დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს. ამას ცხადყოფს ტოპონიმები; ივ. ჯავახიშვილი წერს: "...იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბერი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობისახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ., მთა ჯიხანჯირი (ჯიხა - ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი - მუხა), მდ. ოჩამური (ო-ჩხამური, ჩხომი - თევზი), ოჭილაური (ო+ჭილაური - სა-ჭილაო), ჭყვიში, ჭყვიაშაური, ჭანიეთი, მდ. გობაზოული, მდ. კინ-ტრიში, ონჭიკუთი, ონჯოხეთი, სოფ. ოცანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადად თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა

უნდა ყოფილიყო" (ივ. ჯავახიშვილი, 1913, გვ. 56). მეგრული წარმომავლობისაა ტოპონიმები: ოკრიბა, ცხენიში, წყალტუბო, ჭყვიში, ჯიხაიში... ჩანს, სამწიგნობრო ენის გავლენით, რეგიონში მეგრული მეტყველება შეიზღუდა.

ისტორიულად სამეგრელოში შედიოდა სამურზაყანო (დლევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, გალის რაიონი და ოჩამჩირის რაიონის დიდი ნაწილი), რომელიც ენგურსა და ლალიძგას შორის მდებარეობს. სახელწოდება უკავშირდება მურზაყან შერვაშიძის სახელს, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში (1705 წ.) მემკვიდრეობით მიიღო აღნიშნული ტერიტორია. სამურზაყანო რომ სამეგრელოს ორგანული ნაწილი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელიც დამონტებულია შუასაუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც, შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული)" (პ. ცხადაია, 2002, გვ. 29).

აღმოსავლეთით სამეგრელოს ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით - გურია, ჩრდილო-დასავლეთით - აფხაზეთი, დასავლეთით - შავი ზღვა.

მეგრულის კილოკავური დიფერენციაცია ი-ყიფშიძის სახელს უკავშირდება და დღემდე უცვლელი რჩება. გამოიყოფა ორი კილოკავი:

ლინგვისტიკა

სენაკური (დასავლურ-მეგრული მეტყველება) და ზუგდიდურ-სამურზაყანოული (აღმოსავლურ მეტყველება) (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. XVIII).

შახური (ლაზური) დიალექტი. ლაზეთ-ჭანეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია. ადრეულსანაში(III-VIს.)მოიცავდაშავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს - აღმოსავლეთ პინტოს მთების ჩრდილოეთ კალთებს, მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზის (ახლანდელი თურქეთი, ბაიბურთისა და ისპირის მაზრების ტერიტორია). VI საუკუნის I ნახევარში ჭანეთი ბიზანტიამ დაიპყრო; საქართველოს მთლიანობისა აღდგენის შემდეგ მისი დიდი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია; ვარაუდობენ, რომ ბაგრატიონები - საქართველოს მეფენი, ლაზეთ-კლარჯეთიდან იყვნენ. XIII-XIV საუკუნეებში ლაზეთის ნაწილი საქართველოს ხელშეწყობით ნარმოქმნილ ტრაპიზონის იმპერიაშია. XIV საუკუნეშივე ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წელს, თურქეთ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შემდეგ, ჭანეთი მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა; მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. დღეს საქართველოს შემადგენლობაში არის ერთადერთი სოფელი სარფი, სადაც ლაზები ცხოვრობენ.

რთული ისტორიული ბედის შედგია ის რომ, დღემდე ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, ლაზებში განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითადქმის ფაქტორებზე; კერძოდ: ლაზთა ერთი ნაწილი (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, მათ იციან, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენაზე და-ფუძნებული მწიგნობრობისავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ- მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები: იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოსიძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა; ისანი დიდ პატივს სცემენ თამარ მეფეს, რომელიც ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად

იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულადაა წარმოდგენილი. ლაზთა მეორე ნაწილი აღიზარდა თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში. მას დავიწყებული აქვს თავისი დედაქართულიც, მშობლიური კილოცდა, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქედ მიიჩნევს. თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე ლაზთა მესამე ნაწილისათვის უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან, ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი კუთხური მეტყველების (ლაზური დიალექტის) ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და "გადაარჩინოს" თავისთავადობა.

საბჭოთა პერიოდში იჩქმალებოდა ქართველი ერის ნამდვილი ისტორია; ევროამერიკულ სივრცეშიც საბჭოური სტერეოტიპები ვრცელდებოდა; შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი დღემდე მოკლებულია ობიექტურ ინფორმაციას ლაზთა, მეგრელთა, აჭარელთა, მესხთა, ჰერთა თუ სხვა ქართველთა ისტორიის შესახებ. სწორედ მეცნიერულად არგუმენტურებული ცოდნის ნაკლულობის შედეგია ის, რომ ზოგი ევროპული ფონდი ცდილობს სულ მცირე 15 საუკუნის წინ უნიკალური ქართული ან-ბანის შემქმნელ ქართველთა ერთ ნაწილს XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე "შეუქმნას" ანბანი და დამწერლობა.

მეგრული და ჭანური დღეს ერთმანეთს მოწყვეტილია, მაგრამ საუკუნეების წინ მათ შორის სხვაობა მინიმალური იყო. დღეს ჭანურს, მეგრულისაგან განსხვავებით, ძლიერი დიალექტური დიფერენციცია ახასიათებს (მათ შორის ხშირად გაგებინება ჭირს), რაც სამწიგნობრო ქართულისაგან იზოლაციითა და უცხო ენობრივ გარემოში არსებობით აიხსნება. ჭანურის კილოკავებია: ათინური, ვინურ-არქაბული და ხოფური. ათინურში გამოიყოფა ბულეფურ-ართაშენული, ხოფურში - ჩხალური, ხოლო ვინურ-არქაბულში - ვი-წური და არქაბული თქმები.

ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში. მათ კარგად აქვთ შენარჩუნებული როგორც ქართული თვითობა (იდენტობა), ასევე ქართული ენა. 6.მარის შემდეგ პირველად "ჩვენებურების ქართულის" მრავალი გამორჩეული ნიმუში ჩაინტერა, ვრცლად გამოიკვლია და გამოაქვეყნა პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ.



მუნიციპალიტეტის გამაცნობის საცხოვრის საცხოვრის ესპიზოდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, უსახლესად და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისიის წევრებთან ერთად საცხოვრებელი სახლის ესკიზები განიხილა.

საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისია ოთხოთახიანი და ხუთოთახიანი სახლის ესკიზების 3 ვიზუალიზაციას გაეცნო.



მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის წარმომადგენლებს წარმოდგენილი ესკიზების დეტალური შესწავლა და საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება დაავალა.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ საცხოვრებელ სახლებზე კონკურსი მიმდინარე წლის 11 აპრილს გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა ორმა კომპანიამ, შპს „პროფესიანალი 33“ და შპს „დაბლ ბი“ - მ მიიღო.



გამაცნობაზე დაუდაგინის დღეს მასშტაბური დასუფთავება მიუძღვეა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა დედამინის დღესთან დაკავშირებით ანაკლიის სანაპირო ზოლი დაასუფთავეს.

მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა.ა.ი.პ-ს წარმომადგენლებმა ანაკლიის სანაპირო ზოლი ნარჩენებისა და ზღვის მოქცევის შედეგად ნაპირზე გამორიცხული ხის მორებისგან დაასუფთავეს.

სანაპირო ზოლის ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა განვითარებით სამუშაოებში სპეციალისტები იყო ჩართული.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მაია ლურნეკაიას განმარტებით, ეს არ იყო ერთჯერადი სახის აქცია. მუნიციპალიტეტის გამგეობა ყოველთვის იზრუნებს იმისთვის, რომ დამსვენებლებს კომფორტული გარემო დახვდეთ. დასუფთავების აქცია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ლევან შონიას ინიციატივით ყველა მუნიციპალიტეტში მოეწყო.



რეგიონის ხმა

ედიშარ თოლორაიამ გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ ტყაის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. ტყაიაში გზის სარეაბილიტაციის ნაწილზე ბეტონის საფარის მომზადება მიმდინარეობს. 18 სმ სისქის ბეტონის საფარი გზის 2134 მტრზე დაიგება. არმირებული გზის საფარი ტყაის ადმინისტრაციის მთლიან სატრანსპორტო ნაწილს მოიცავს. გზის მშენებლობასთან ერთად

მიმდინარეობს ბეტონის მაღალი გამძლეობის ხიდ - ბოგირებისა და მილ - ხიდების მშენებლობა. გზის გასწვრივ მოეწყო ასევე ბეტონის სანიაღვრე არხები. მუნიციპალიტეტის გამგებელი სამუშაოების მიმდინარეობას აკვირდებოდა და განაცხადა, რომ ყველა სოფლის ცენტრალური გზა ბეტონის საფარის და ასევე არმირებული იქნება მისი მდგრადობისა და სიმყარის გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.



ედიშარ თოლორაიამ ყულიშკარში მშენებარე პროექტები დაათვალიერა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებას აგრძელებს და სამუშაოების შესრულების ხარისხსა და ვადებს ამონმებს. ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის გამგებელმა გარეგანათებისა და წყალმომარაგების პროექტების მშენებლობა დაათვალიერა. მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას განცხადებით, ყულიშკარში სოფლის ცენტრიდან წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიამდე გარეგანათების მოწყობა მიმდინარეობს. ამ

პროექტისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 85 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი.

გამგებლის განმარტებით, ყულიშკარში ასევე საბოლოოდ მოგვარდება წყალმომარაგების პრობლემა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წყალგამწმენდი ნაგებობის მოწყობა. ადგილობრივები სასმელ წყალს გრიგოლიშის წყალსაცავიდან მიიღებენ, რომლის სიმძლავრე საათში 30 ტონა იქნება. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. წყალმომარაგების სისტემის აღდგენის შემდეგ წყლით უზრუნველყოფილი იქნება ყულიშკარის მოსახლეობა.





აკვენის მივიწყობული კულტურა საქართველოში

დღეს არსებული პრობლემების ფონზე საზოგადოებას შესაძლოა უმნიშვნელოდ მოეჩვენოს აკვნის პოეზიაზე საუბარი და გასაკვირიც არ იქნება, რადგან დღეს იავნანასაც და აკვანსაც თავისი დანიშნულება დაკარგული აქვს. მიუხედავად ამისა, ალბათ ბევრს დარჩენია ტკბილ მოგონებად ყრმობის წლებში მოსმენილი საამოლექს-სიმღერები.

ადრე წარმოუდგენელი იყო ვინმე „იავნანის“ გარეშე გაზრდილიყო. ვაჟა-ფშაველას თქმით: „როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას გარდა ჰარისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ და ნანა — მოსასვენებლად... ყველა ეს ხდება ოჯახში დედის ხელმძღვანელობით და სწორედ ეს არის დასაბამი პატრიოტიზმისა“.

აკვანი და იავნანა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. პირველი ძველთაგან გავრცელებული იყო ევროპა-აზიის ზოგიერთ ხალხებში. აკვანი არსებობს ორგვარი — სარწევი და საქანებელი. სარწევს საგოგავები აქვს, საქანებელი კი თოკებზეა ჩამოკიდებული. აკვნის პრიმიტიული სახეობაა ე.ნ. „ხოჭიჭი“ — საგებლიანი ფიცარი. ნამდვილ აკვანში ჩანვენამდე ჩვილს ხოჭიჭი აკრავდნენ, ზოგჯერ კი ზანდურის (პურეულის) ღეროებში ახვევდნენ და არტახებით ძნასავით კრავდნენ. ამგვარ საწოლს „ფირცხი“ ერქვა.

საქართველოში გავრცელებული ჩვეულებრივი სარწევი აკვნის მოწყობილობაში შედის ნაილი, საბანი, მუხლთბალიში, საფერხები, სამხრეულები,

საბეჭურები, არტახები და სხვა.

ლეიბში სათანადო ადგილზე ამოჭრილ ჰიგიენურ ნახვრეტზე უყრიდნენ შიბაქს ან აფენდნენ ბუერის, ანნლის, ლოლოს სუფთა ფოთლებს. უშვილობის ან ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში, ხატს პატარა აკვანს სწირავდნენ.

სწორედ ასეთ აკვნებთან იმდერებოდა და იგალობებოდა „იავნანა“, რომელსაც თავდაპირველად წარმართული დანიშნულება ჰქონდა. „იავნანის“ მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან იგი ქართული ხალხური მუსიკისა და სულიერი კულტურის ისტორიაში განვითარების უძველეს ეტაპს წარმოადგენს.

„იავნანასთვის“ დამახასიათებელია მარტივი, მაგრამ შთამბეჭდავი მელოდია, რომელსაც ასრულებს ერთი, ან მონაცვლეობით ორი მთქმელი (ქალი) გაბმული (ბურდონული) ბანის ფონზე. სიმღერა ერთმუხლოვანია და მდორედ ვითარდება. ის უმთავრესად ქართლ-კახური მუსიკის ფოლკლორში გვხვდება. იმერულ და გურულ სასიმღერო შემოქმედებაში კი უფრო გავრცელებულია „საბოდიშო“ ანუ „ბატონებო“. ვ. მაღრაძის მოსაზრებით, მესხურ სიმღერებს „იავნანას“ ტიპის ინტონაციები და ფრაგმენტები უდევს საფუძვლად. „იავნანას“ მელოდიას დამუშავებული სახით ვხვდებით. ავალიშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა შემოქმედებაში.

„იავნანას“ ციკლის ლექსებს დიდაქტიკურ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს ქართულ

მხატვრულ ლიტერატურაშიც. მის მოტივებზე შექმნეს ლექსები რ. ერისთავმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, გ. ტაბიძემ და სხვებმა.

ქართული სააკვნო პოეზია შინაარსობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მასში მოიპოვება როგორც პატრიოტული, ისე რელიგიური, საისტორიო, საყოფაცხოვრებო და სხვა საინტერესო თემატიკა. თავდაპირველად, იგი წარმართული საკულტო რიტუალის საგალობელი იყო და უკავშირდებოდა მზის და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას. შემდგომ კი დაკარგა პირვანდელი საწესო ხასიათი.

აკვნის სიმღერებიძირითად „ნანას“ (ნანინა) და „იავნანას“ სახელითაა ცნობილი. ისინი წარმოშობის მიხედვით განსხვავდებიან. „ნანა“ საწყისშივე საკუთრივ აკვნის პოეზიას წარმოადგენდა, ხოლო „იავნანას“ პირველადი ფუნქცია ბატონებისგან განკურნება იყო. მოგვიანებით, ორივე ციკლის ლექსები, ერთმანეთს დაუახლოვდა და დღეს აღარ განიჩევა. ერთში დედის გრძნობები, სურვილ-მისწრაფებებია გამოხატული, მეორეში — უშუალოდ ბავშვის ბუნება და თავისებურებები. განსაკუთრებული სილამაზით გამოიჩევიან ის ლექს-სიმღერები, რომლებიც ტკბილმოვანი

რომ მონღოლებისგანაა შემოტანილი, თუმცა, ნაკლებად მჯერა, რადგან ძალიან კარგად ზის ქართულ ხასიათში. სამწუხაროა, რომ დღეს აკვანში აღარ იზრდებიან, მას თავისებური სილამაზე ჰქონდა. ბავშვს ხერხემალი სწორად ჰქონდა დაფიქსირებული. გავრცელებულია აზრი, რომ აკვანი, თითქოს, აკოჭლებს, მაგრამ, ხევსურეთში არავინ მინახავს მისგან დაკოჭლებული.

— როგორია თვითონ ხევსურული აკვანი?

— სხვებისგან განსხვავდება. ჩვეულებრივია, თუმცა გვერდებზე არა აქვს რიკულები, თვითონ კი მოწუქურობებულია. დაბლა ფიცარი აქვს, სადაც ქერის ჩალას ყრიდნენ იქ აწვენდნენ ბავშვს, რომ, გვერდებიდან სიცივეს არ შეეწუხებინა. შიბაქიც არ ჰქონდა, თივა ეფინა, ისე, რომ ბავშვს არ ეხებოდა. ბავშვი შალებში იყო შეხვეული თავისუფლად მოძრაობდა. შალი თვითონ ისეთია, არ სველდება და ყველაფერს იწოვს. ბავშვს თოკებით კრავდნენ, აკვანზე ურძნის ხის ჯვრიან ნალოც მძივებს უკეთებდნენ. ურძანი წმინდა ხედ ითვლება, ხავერდივით კანი აქვს და შავი ნაყოფი. არსებობს ისეთი აკვნები, რომლებშიც ბავშვს ხელ-ფეხი ცალცალკე ჰქონდა გაბოჭილი, მაგ: სამეგრელოში. თავი რომ არ გაბრტყელებოდა, რგოლი იყო შეკერილი. რაც შეეხება „იავნანას“, პაპაჩემი მღეროდა სხვანაირად, ბებიაჩემი სხვანაირად. „ეე ნანო ქალასაო, სამკალთ გაჩენილასაო“.

თუ ოჯახებს დანათესავება სურდათ, აკვანშივე ნიშნავდნენ შვილებს. დანიშნულები ცალ-ცალკე იზრდებოდნენ, ისინი უკვე ნათესავებად ითვლებოდნენ და შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ. თუმცა, ზოგჯერ საპირისპიროდაც ხდებოდა, შეიძლება სხვა შეჰქვარებოდათ. ბიჭს შეეძლო უარი ეთქვა: „მე შენ აღარ მინდიხარ, თავს განებებს, ჩემგან თავისუფალი ხარ“ — ეს სიტყვები უნდა ეთქვა. გოგოს არ ჰქონდა ამის უფლება. მაგალითად, ჩემი მეუღლის და ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ჩვენ 2-3 წლის ასაკში დაგვნიშნეს. აკვანში ნიშნობაც ალბათ ამიტომ ჰქვია, რომ ეს ძალიან პატარა ასაკში ხდებოდა.

ეროვნული მუზეუმის კოლექციების მეცნერი, ისტორიის მეცნერებათა ღორიტორი ნოდარ გოშიაშვილი:

— საიდან შემოვიდა საქართველოში აკვანი და მისი რა ნაირსახეობები არსებობს?

— აკვანთან დაკავშირებით არსებობს ორი შეხედულება. პირველის მიხედვით, აკვანი მე-13 საუკუნეში შემოვიდა საქართველოში მომთაბარე ტომების შემოსევების შედეგად. მეორე ვერსიით,

ლეკსის მეოდება და ისეთი განვითარების სისტემის მიზანი

მელოდიის ფონზე, დედის განწყობას გადმოგვცემენ. „იავნანას“ აღმზრდელობითი ფუნქცია და საგმირო-საისტორიო შინაარსიც მიანიჭეს. ქართულ სააკვნო პოეზიაში ბრძოლის ველი, თავგანწირვა და მამულის სიყვარულის თემები ხშირად შეინიშნება. ის წარმოადგენს ქართველი ხალხის მრავალსაუკონავან ისტორიას, სულიერ კულტურას, ამაღლებულ იდეალებს და ამ ყველაფრის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ ასეთმა „იავნანამ“ გამოზარდა უამრავი ქართველი გმირი და საზოგადო მოღვაწე.

საპატირიალო ხალხური რევისულ გამგებელი:

— ხევსურეთში ყველა იზრდებოდა აკვანში, ჩვენ ხუთივე და-ძმა აკვანში გავიზარდეთ. მეც, ჩემი სამი შვილი, სწორე ასე გავზარდე და დღეს, მათაც ძალიან უყვართ აკვანი. ამბობენ



ადგილობრივი კულტურის ელემენტია. საქამაოდ მობილური ნივთია, ადვილად გადასატანი. აკვნის რამდენიმე სახეობა არსებობს: კლასიკური საგოგავებიანი (სარწევი), ძველი აკვანი-ხოჭიჭი, რომელიც ფიცარია და არ გორავს. საქართველოს გარდა აკვანი ბევრგანაა გავრცელებული, მათ შორის შუა აზიაშიც.

— ვინ აკეთებდა აკვანს?

— როგორც ასეთი ხელობა „მეაკვნე“ არ არსებობდა, მაგრამ დურგალი, ხარატი სხვა საგნებთან ერთად აკვანსაც აკეთებდა, ვინც რიკულებზე მუშაობდა ის აკვნის გაკეთებასაც შეძლებდა და პირიქით.


— საკრალური მნიშვნელობა თუ ჰქონდა აკვანს?

— რამდენადაც ბავშვს უკავშირდებოდა, მისი დაწვა არ შეიძლებოდა. ბოლო დრომდე საქართველოს ტერიტორიაზე ხის ნივთები არ შემორჩა, რადგანაც დაზიანების შემდეგ წვავდნენ. აკვნები კი შემონახულია, დამტვრეულებიც კი. საერთოდ მიიჩნეოდა რომ აკვანი, რომელშიც ბევრი ბავშვი იყო გაზრდილი, ბედნიერების მომტანი იქნებოდა.

— რას იტყვით აკვნის ეროვნულ მნიშვნელობაზე?

— ბიჭი ტრადიციულად მეომრად იზრდებოდა და მას ჰქონდა ხის ფარ-ხმალი, გოგონას ჰქონდა აკვნის მოდელი, ანუ პატარა აკვანი, სადაც არტახებით ჩაკვრას სწავლობდა. ეს ისწავლებოდა სხვა ხელსაქმესთან ერთად და ამდენად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამასთან გოგონას პატარაობიდანვე უვითარდებოდა დედობის სათუთი გრძნობა და შვილიერების სურვილი.

კახის ეკლესიის მოძღვარი გლველი გადრი (პრჩუაძე):



„— აკვანი არის ადამიანის მორჩილი ცხოვრების დასაწყისი. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აკვანს ეკლესიის ფორმა აქვს. ძველად მას თავში და ბოლოში ჯვრები ჰქონდა გამოკვეთილი, ბოროტისაგან დასაცავად. ახლა მძივებს კიდებენ, მაშინ კი ნალოცი სკვილი ეკიდა, რომელსაც ჩვილი ეთამაშებოდა. აკვანში ჩვილი მორჩილებას და მოთმინებას სწავლობს. როდესაც დედა არტახებს უჭერს, ბავშვი მორჩილებაში მოჰყავს. ამავე დროს ჩვილს უნდა ესაუბრებოდეს. კაცი

იფიქრებს საუბრი რა საჭიროა, მაგრამ ჩვილს ყველაფერი ესმის, გრძნობს და განიცდის... უბრალოდ ვერ გამოხატავს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არის კადრები, როდესაც დედის მუცელში ბავშვის მოწყვეტა სურთ, იგი შეშინებული გაურბის უცხო სხეულს — დანას. ჩვილს ჩასახვიდანვე ესმის მშობლების. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „იავნანას“. როდესაც დედა აკვანს არწევს და იავნანას უმღერის, ბავშვი იღებს დადებით მუხტს, განწყობას, სიყვარულს. ტექსტსაც თუ დავუკვირდებით, იგი ბავშვს ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულსაც ასწავლის და მუსიკალურადაც ავთარებს. აკვანი დედებს დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას ავალებს, რათა აცილებულ იქნას გვერდითი მოვლენები.

შემინდეთ, არავის განაწყენება არ მინდა, მაგრამ უყურადღებობა და პამპერსი აზარმაცებს დედას, ჩვილის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის... ჰერეთში მეტ-ნაკლებად დღემდე შემონახულია აკვანში ბავშვის აღზრდის ტრადიცია. უფროსის რჩევას ითვალისწინებენ, რადგან თვითონაც მორჩილებაში, ე.ო. აკვანში არიან გაზრდილი.

დღეს ვითარება ამ მხრივ შეიცვალა. თანამედროვე ქალი დღეს დინამიურად ზრუნავს თავის თავზეც, ოჯახზეც და კარიერაზეც. მისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს აკვნითა და „იავნანით“ შვილების გაზრდა. თუმცა, რაც უნდა წინ წარმიოს ცხოვრებამ, როგორც უნდა განვითარდეს ტექნიკა და გათანამედროვდეს აღზრდის წესები, დედის მოვალეობები უცვლელი რჩება, იგი წმიდათა წმიდაა და გულგრილობით არ უნდა გავაუფასუროთ.

**ნინო ჭიათარაშვილი
„სამეცნიერო“ № 6**



ღირებული ცაგან უანია

დამატებული თითოები სობაეიქა

კულტურული შპს „NK“-ს მოლოდი გარე

2016 წლის 19 მაისი



ვიკისი ზარისავილი



მოლოდი გარე

შევე ვაფრინდა ბაზუქობის წევები
და სიჭაბუქის დაბადებათ ჩანა...
დამაზ ვიზონების ქრთი სული ძაჭო
ტანხე მთარგონ ბანგამის განა.
ბოლო ზარი და ეს ვამოცდები!!!
მერე კი მკერდა თქვენი ვზით წახვდოთ,
სკოლა დარჩებია, როგორც თვალი
და კვლავ დაიწყებს აქ ცოდნის აქვთნს.
კმდიდობებით გვედრების და მერჩების.
კლასებებიდან კი დარჩებით კვლავაც.
ვზის აუკვებით ცოდნის ტამნისკენ,
წარმატებებით თათოს და მრავდები.
ზარის დარშემონა დადი მადლობა!

მოლოდი თქვენს კოდექტივს, ხახულის ხაზის.
თქვენს დამრიცებელს თბილს და მეტორულს
ხიევარულისგან ცრემდები აქვთნს...
ეპერი აქ დამწერებს, მშობელს, მოხუდვებს
ხეებს ჰერიტაჟებს დადი მადლობა!
...და მერამდენები თქვენ გამოზირდეთ
ქაქნის იმედის ასაღვი ძირდობა...
დღეს ურინებით სკოლის ბუღიდან,
...და მომავალიც მოღის თათობა...
მოგით უსურეოთ მათ სტარენტობა!
და კვლავ კრთავ დაქროის წევდობა!
შეიძლება მაისურობა

ნინო ჩებულიაშვილის გამომცემრობა



მისამართი:

თბილისი,

ლაცარების 27

ვე-2 სართ.

599746810

790746810

ნიგნების ბაზარი

ქართლ-
გაზათუახის
ბაზარი

აცყობა,
ღიზაინი,
დაკაპაზონება